ახალი განათლება

6 – 12 აპრილი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№13 (767) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

აქცენტი ხარისხზე თუ ფასზე

რა პრინციპით შეირჩევა გრიფირებული სახელმძღვანელოები

"მთავრობა, რომლისთვისაც ძვირფასია ქვეყნის განათლება და მნიშვნელოვანია წარმატებული განათლების სისტემა, სახელმძღვანელოების ბიზნესს პროფესიონალების ხელში ტოვებს." – ბენ სტივარდი.

გვერდი 2

მარაბლის უცნობი ფოტოარქივი

გვერდი 4

გლობალური ჯილდო საუკეთესო მასწავლებლისთვის

„მასწავლებელთა გლობალური ჯილდო“, რომელსაც, ტრადიციულად, დუბაიში, მარტის თვეში გამართული განათლების საერთაშორისო ფორუმის მეორე დღეს გადასცემენ, წელს კანადელ მასწავლებელს – მეგი მაკდონელს ერგო. მილიონი დოლარი და წლის საუკეთესო მასწავლებლის ტიტული (ეს საკმაოდ მომხიბვლელი და სოლიდური პრიზი, ალბათ, ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის საოცნებო და გაასმაგებული სტიმულისმიმცემია, რომ გახდეს საუკეთესო) კანადის პატარა თემში მოღვაწე პედაგოგმა მიიღო. ის ასწავლის სკოლაში, სადაც მძიმე კლიმატი და რთული პირობებია, სახმელეთო გზითაც ვერ მიხვალ, მხოლოდ საჰაერო კავშირია. *„სწავლება იდეალური გზა იყო ახალგაზრდებთან დაკავშირების. შესაძლებლობა მომეცა, გავცნობოდი მათ რეალიებს და შემექმნა ისეთი პროგრამები, რომლებიც მათ მიზნის მიღწევაში დაეხმარებოდათ“.* – ამბობს მეგი მაკდონელი.

დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული ვარკის ფონდი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მთავარი ოფისი ლონდონშია განთავსებული, თავს რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ფონდად არ აღიქვამს, რადგან მიიჩნევს, რომ ის საერთაშორისოა და, ყოველწლიურად, მსოფლიოს მასშტაბით, საუკეთესო მასწავლებელს ეძებს. ღონისძიებას პატრონაჟს დუბაის მმართველობაც უწევს. ფონდის ისტორიაც მასწავლებლებით იწყება. რამდენიმე წლის წინ, ინდოელმა პედაგოგების ოჯახმა დააფუძნა. მათ ძალიან წარმატებული საქმიანობა დაიწყეს და შექმნეს მსოფლიო სკოლების ქსელი, რომელიც, დღესდღეობით, მსოფლიოს 14 ქვეყნის კერძო სკოლებს აერთიანებს და დაახლოებით – 20 ათასზე მეტ თანამშრომელს. ასეთი მსხვილი და წარმატებული ბიზნესის შემქმნელმა ოჯახმა, იქიდან გამომდინარე, რომ მთელი ცხოვრება განათლების სფეროს ემსახურებიან, გადაწყვიტა, ფილანტროპული საქმიანობაც სწორედ განათლების სფეროში აწარმოოს. მათი ინიციატივით დაფუძნებული ფონდის მთავარი შემწირველებიც თავადვე არიან, თუმცა, ცდილობენ, დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდანაც მოიზიდონ.

წლევანდელი დაჯილდოების ცერემონიალს კოალიცია „განათლება ყველასთვის - საქართველოს“ გამგეობის თამჯდომარე ირინა ხანთაძე ესწრებოდა. 2017 წლის 19 მარტს, კოალიციის სახელით, საქართველომ მიიღო „მასწავლებელთა გლობალური ჯილდოს“ აკრედიტაცია.

რა არის ფორუმისა და „მასწავლებელთა გლობალური ჯილდოს“ მიზანი, როგორი იყო წლევანდელი ღონისძიება და რა ძირითადი აქცენტები გაკეთდა განათლების სისტემის განვითარების მიმართულებით, ამის შესახებ გვესაუბრება ირინა ხანთაძე.

გვერდი 5

„ჰაკათონი“ – 2017

გვერდი 6

წიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის



პროფესიული უნარების სახელმძღვანელო

დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

თემატიკა: გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ისგ, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

ფასი – 15 ლარი   მიმდინარეობს ხელმოწერა

CMYK

სახელმძღვანელოები

აქცენტი ხარისხზე თუ ფასზე

რა პრინციპით შეირჩევა გრიფირებული სახელმძღვანელოები

ლალი თვალაბეიშვილი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიღებული სახელმძღვანელოების გრიფირების ახალი წესის უმთავრესი პუნქტები ქართველი გამომცემლებისთვის და ავტორებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. გამომცემელთა უმეტესობამ უარი თქვა შეხვედრებზე, რომლებიც, თითქმის 8 თვე გრძელდებოდა. გასული წლის აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით, ამ შეხვედრებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა** *ატარებდა. მან გამომცემლებს მათთვის მისაღები მოდელი შესთავაზა, რომლის დახვეწაზეც მუშაობდნენ. იანვრიდან სახელმძღვანელოების გრიფირებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები მინისტრის მოადგილემ,* **თეიმურაზ მურღულიამ** *გააგრძელა და პირობებიც მკვეთრად შეიცვალა.*

„განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ფაქტობრივად, ისევ ართმევს გამომცემლებსა და ავტორებს საავტორო უფლებას. მოფიქრებული აქვთ ახალი სქემა, რომელიც ჩვენთვის მიუღებელია. ეს კორუფციის წყაროა, ისევ სტამბების მონოპოლიზაცია სურთ, დაინტერესებული არიან, რომ თვითონ დაბეჭდონ, რაც არსად არ ხდება. ეს არის ჩვენი ინტელექტუალური საკუთრების მისაკუთრების მორიგი მცდელობა. – აცხადებს **კახმეგ კუდავა**, *გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორი – განათლების მინისტრს როცა ვხვდებოდით, მაშინ თქვენი გზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აღვნიშნე, რომ ეს ის კაცია, რომელიც აუცილებლად გადაწყვეტს ჩვენს პრობლემებს იმიტომ, რომ ყველაფერში კარგად გაერკვა. ახლა ვნანობ, ასე რომ ვთქვი. არჩევნების შემდეგ მინისტრი აღარ შეგვხვედრია, გადააბარა თეიმურ მურღულიას. ის კარგი ეკონომისტია, როგორც ამბობენ და ჩვენც ასეთი შთაბეჭდილება გვაქვს, მაგრამ ძალიან ცუდად იცნობს სახელმძღვანელოების საკითხს და ასრულებს რომელიღაც დაჯგუფებების ინტერესებს და არა სახელმწიფო ინტერესებს.*

ჩვენ, ქართველმა გამომცემლებმა, ქართული ენის სახელმძღვანელოს კონკურსზე, გრიფირებისათვის რომ შევიტანოთ, ვთქვათ, ათი სახელმძღვანელო, მაქსიმალური ქულა, დავუშვათ, არის 100, მინიმალური – 60. ქვედა ზღვარი გადალახა შვიდმა სახელმძღვანელომ და შვიდივეს ეძლევა გრიფი გარკვეული ვადით. სამინისტრო ამბობს, მე შევიძენ სამ სახელმძღვანელოს. წესით, ეს ეკუთვნის პირველს – ასქულიანს და შემდეგ მეორე-მესამე ადგილებზე გასულს. ისინი კი გვეუბნებიან, ხუთი დღის ვადაში უნდა გვითხრათ, რა ფასად მოგვყიდით ამ კონტენტს (ასე ეძახიან შინაარსს). თუ მეშვიდე ადგილზე გასულ სახელმძღვანელოს, რომელიც „მეშვიდეხარისხიანია“ (ქულების მიხედვით) გამომცემელი დაბალ ფასს დაადებს და ეს ყველაზე დაბალი ფასი აღმოჩნდება, ეს წიგნი პირველ ადგილზე „გადახტება“. რა დააშავა მოსწავლემ ან მასწავლებელმა, რომ განათლების სამინისტროს სკოლაში მეშვიდეხარისხოვანი წიგნი შეაქვს. ხარისხი ხომ შეიწირა უკვე ფასმა.

განათლების სამინისტრომ სამი სახელმძღვანელო უნდა იყიდოს. ამის შემდეგ აცხადებენ ტენდერს ბეჭდვაზე და ამაში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა გამომცემელმაც და სხვა სტამბებმაც. გამომცემლობების დიდ ნაწილს სტამბა არ აქვს (ჩვენ გვაქვს), ისინი ამბობენ, რომ ამ ტენდერში მონაწილეობას არ მიიღებენ ან რატომ უნდა მიიღონ, მაგრამ თუ მათი სახელმძღვანელო გაიმარჯვებს, ის მათი საკუთრებაა და სადაც უნდათ, იქ დაბეჭდავენ. ლოგიკურია შეკითხვა – რატომ არის სამინისტრო დაინტერესებული, რომ ტენდერი გამოაცხადოს ბეჭდვაზე. ამ ოთხი წლის განმავლობაში, 3 წელი ტენდერი არ ჩატარებულა, ტენდერის გარეშე ბეჭდავდნენ თვითონ. მეოთხე წელს ფორმალურად ჩატარდა და იმავე სტამბამ მოიგო. ეს აღრიცხავი საქონელია, ე.წ. პირატული წიგნებით სავსეა ბაზარი. ჩვენს საკუთრებას ბეჭდავს ვიღაც და ამას ხელს უწყობს განათლების სამინისტრო, აი, რა არის დამალული ამ გადაწყვეტილებაში. გამომცემლები, ვცდილობთ დავიცვათ ჩვენი თავი, დანარჩენს სახელმწიფომ უნდა მიხედოს. მინისტრს ყოფნის იმდენი სინდისი, რომ ჩვენ ვერ შეგვხვდეს. ისეთ ამბებს დაგვპირდა და ახლა 180 გრადუსით მოტრიალებული კაცი როგორ შეგვხვდება, ჩააბარა თეიმურაზ მურღულიას.

სამინისტროში დაიბარეს ავტორები და დაპირებებით ცდილობენ მათ დათანხმებას თანამშრომლობაზე. გამომცემლებს, თუ არ გინდათ, სულ გამოგთიშავთ პროცესიდანო, გვეუბნებიან. გამოდის, რომ ავტორმა სახელმძღვანელო სამინისტროს უნდა მიუტანოს, მაგრამ ვინმემ ხომ უნდა დააკაბადონოს ის, მაშინ უნდა შეიქმნას გამომცემლობა და ალბათ ამასაც გააკეთებენ. ასეთი გამომცემლობა, იცით თქვენ, არსებობდა, „განათლება“ ერქვა, იყო ჩუბინაშვილის ქუჩაზე, მაგრამ მაშინ საქართველოს ერქვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, იმ ქვეყანას კი – საბჭოთა კავშირი. თუ უნდათ იქ დაბრუნება, კი ბატონო, იყვნენ იქ.“

თინათინ მამულაშვილი, *ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის დირექტორი: „სანდრო ჯეჯელავამ რომ დაიწყო ჩვენთან კონსულტაციები, ჩამოვყალიბდით მოდელზე, რომელიც ყველასთვის მისაღები იყო. ყველაზე რეალისტური იქნებოდა იმ მოდელის განხორციელება, რომელიც თვითონ მინისტრის შემოთავაზება იყო და რომელზეც გამომცემლების უმეტესობა თანახმა იყო. რა შეიცვალა ბოლო ორი თვის განმავლობაში, რატომ შეცვალა მიდგომა სამინისტრომ, ჩვენთვის გაურკვეველია. სანდრო ჯეჯელავას ინიციატივა იყო, გაფორმებულიყო ხელშეკრულება თვითონ გამომცემლებთან და მესამე მხარე არ ჩართულიყო ჩვენს ურთიერთობაში, ამ მიმართულებით ყველამ ერთად ვიმოძრავეთ – სამინისტრომ, გამომცემლებმა, იურისტებმა. დაახლოებით, აგვისტოდან იანვრის ჩათვლით, ვამუშავებდით შემოთავაზებულ მოდელს, რომელზეც შევჯერდით და მოულოდნელად ეს ყველაფერი შეიცვალა, ფაქტობრივად, თავდაყირა დადგა. ჩვენთვის გაუგებარია, თუ სამინისტრო, თავიდან, თვითონ გვთავაზობდა გარკვეულ მოდელს, რომელზეც შესაძლებელი გახდა კონსენსუსის მიღწევა, რატომ შეცვალა ეს ყველაფერი ბოლო ორი თვის განმავლობაში. იანვრის შემდეგ განიხილება სრულიად განსხვავებული მოდელი, რომელიც გამომცემელთა უმრავლესობისთვის მიუღებელია. გამოაქვეყნეს გრიფირების წესი, რომელშიც წერია, რომ შეიძლება გამომცემლობის სახელმძღვანელომ გაიმარჯვოს უმაღლესი ქულებით, მაგრამ არ აქვს გარანტია, რომ ის სკოლაში მოხვდება, საუკეთესოც რომ იყოს, თუ ფასზე ვერ შეთანხმდა სამინისტროსთან. გამოდის, რომ სამინისტრო ხარისხზე კი არ აკეთებს აქცენტს, არამედ ფასზე.*

გამომცემლები უნდათ აიძულონ, რომ თავიანთი სახელმძღვანელოების განკარგვის უფლება არ ჰქონდეთ. არ გვიკრძალავენ ბეჭდვას, მაგრამ ვისთვის დავბეჭდავთ, თუკი სკოლებში შეტანის უფლება არ გვექნება? არ გვიკრძალავენ, მაგრამ ბაზარიც არ არსებობს. პირველი კლასის ბუნების სახელმძღვანელო ან ისტორიის მეათე კლასის სახელმძღვანელო თავისუფალ ბაზარზე ხომ არ გაიყიდება? შესაბამისად, მოდელი, რომელსაც სამინისტრო გვთავაზობს, სრულიად მიუღებელია.

ჩვენ, ზოგადად, არ ვეწინააღმდეგებით უფასო სახელმძღვანელოების პროგრამას. შეიძლება სადავოც იყოს, რა საჭიროა, მაღალი შემოსავლის ოჯახსაც დაურიგდეს უფასო სახელმძღვანელოები, რა თქმა უნდა, უმჯობესია, რომ სოციალურად დაუცველებისთვის იყიდონ, მაგრამ თუკი სახელმწიფოს მიზანია, ყველა მოსწავლეს მიაწოდოს უფასო სახელმძღვანელოები, ამის წინააღმდეგი ჩვენ არ ვართ. უბრალოდ, ჩვენი უფლებების დაცვას ვცდილობთ და გვინდა, ჩვენი პოზიცია დავანახოთ სამინისტროს, რომელიც თანხვედრაში იყო იმავე მინისტრის პოზიციასთან ორი თვის წინ. რატომ შეიცვალა ეს ყველაფერი, ნამდვილად ვერ ვიგებ.

ასეთ კონკურსში მონაწილეობა ჩვენთვის მიუღებელია. დაიქირაონ, კი ბატონო, ავტორები და დააწერინონ ტექსტები. ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირში ბრუნდებიან. ძალიან არასწორი მიდგომაა.“

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციას მიაწოდა ინფორმაცია სახელმძღვანელოების ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ. ასოციაციის წარმომადგენლები დაჩქარებული ვიზიტით ჩამოვიდნენ საქართველოში და 30 მარტს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში, რომელიც საერთაშორისო დელეგაციისა და ადგილობრივი სამთავრობო თუ არასამთავრობო, კერძო სექტორის მონაწილეობით გაიმართა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან კონფერენციას არავინ დასწრებია.

კონფერენციის მონაწილეებს შორის იყვნენ სახელმძღვანელოების ავტორები. ჩვენ დავინტერესდით, თუ რას ფიქრობენ ისინი სამინისტროს მხრიდან, გამომცემლობებისგან დამოუკიდებლად, თანამშრომლობის შეთავაზებაზე.

გურამ გოგიშვილი, მათემატიკის სახელმძღვანელოს ავტორი, გამომცემლობა „ინტელექტი“: *„სახელმძღვანელოების შექმნა უმნიშვნელოვანესი ეროვნული საქმეა და, ამ დიდი საქმის პირველ რიგებში არიან ავტორები, მათ მოჰყვებიან გამომცემლობები და ყველაფრის გვირგვინი, ხელშემწყობი უნდა იყოს მთავრობა. სამწუხაროდ, დღეს რეალობა ისეთია, რომ მსგავსი სინქრონული დამოკიდებულება არ არსებობს. სამწუხაროა, რომ არ იგრძნობა ერთი გუნდის სულისკვეთება (გუნდში ვგულისხმობ, ერთი მხრივ, ავტორებსა და გამომცემლებს, მეორე მხრივ, განათლების სამინისტროს).*

ჩვენი დიდი თხოვნა იყო, მას შემდეგ მაინც, როცა დასრულდებოდა კონკურსი, ცნობილი ყოფილიყვნენ ექსპერტები და მათი პასუხისმგებლობა მაღალი ყოფილიყო. ადრე ექსპერტები ღიად მოქმედებდნენ, განხილვებშიც ღიად მონაწილეობდნენ, იყო პაექრობა და არწმუნებდნენ ავტორებს, რომ მართლაც ხარვეზები ჰქონდათ. ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ექსპერტის შერჩევა, რომელიც გაუძლებს პოლემიკას ავტორთან. ახლა გვეუბნებიან, გვაქვს კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შევარჩევთო და ეს კრიტერიუმები მაინც ხომ უნდა იყოს ცნობილი? რა პრინციპით მოხდება შერჩევა, გაურკვეველია. საბოლოოდ, თუ ექსპერტს არ ექნება ვინაობის გამხელის სურვილი, უცნობი დარჩება და თქვენ ვერ გაიგებთ, ვინ გასწირა თქვენი სახელმძღვანელო, ვისთან შეიძლება გქონდეთ პრეტენზია.

მგონია, რომ პოტენციურ ავტორებთან თანამშრომლობა ხელს არ შეუწყობს მაღალი დონის სახელმძღვანელოების შექმნას. დავალებით შექმნილი სახელმძღვანელო, ვეჭვობ კარგი იყოს. როგორც წესი, სახელმძღვანელო ძალიან მაღალი კონკურენციის პირობებში უნდა იწერებოდეს. დავალებით შექმნილი სახელმძღვანელო არავითარ გრიფირებას არ გაივლის, პირდაპირ შევა სკოლაში, აქამდე არ უნდა მივიდეს საქმე. ყველა მხარემ კეთილი ნება უნდა გამოავლინოს, უნდა იყოს მაქსიმალური სვლა ერთმანეთისკენ.“

თინათინ ბოლქვაძე, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული ენისა და ლიტერატურის ავტორი, გამომცემლობა „არტანუჯი“: „ავტორებს შესაძლებლობა მიეცათ, დამოუკიდებლად წარადგინონ წიგნები, მაგრამ ეს ძალიან დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული. იმისთვის, რომ წიგნის გადაშლილი გვერდი გამოვიდეს ისეთი, როგორიც სჭირდება თანამედროვე მოსწავლეს, სულ მცირე, უნდა იმუშაოს ავტორმა ან ავტორთა კოლექტივმა, ილუსტრატორმა, მხატვარმა, ოპერატორმა, დიზაინერმა და შეიძლება ეს სია სრული არც იყოს. ამიტომ ჯობია, განათლების სამინისტრომ დაიტოვოს მაკონტროლებელი ფუნქცია. მან უნდა გააკონტროლოს გამომცემლობის ყოველი ნაბიჯი, წიგნის მომზადებიდან მოსწავლეებამდე და მასწავლებლებამდე მიტანამდე, მან უნდა გააკონტროლოს წიგნის შინაარსობრივი და ბეჭდვის ხარისხი, წონა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოსწავლეებისთვის და მთელი გზა, დისტრიბუციის ჩათვლით. სხვა მხრივ, სამინისტრო გვერდზე უნდა გადგეს, მხოლოდ მაკონტროლებელი უნდა იყოს. ყველა ქვეყანაში, სადაც არის დაწინაურებული, წინწასული, შედეგიანი სასწავლო სისტემა, ყველგან გამომცემლობა აკეთებს ყველაფერს – წიგნის შექმნიდან მოსწავლეებამდე მიტანამდე, მასწავლებლების ტრენინგის ჩათვლით. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს არის ერთადერთი, ყველაზე შედეგიანი გზა.*

ვისურვებდი, რომ განათლების სამინისტრო დაუბრუნდეს იმ პრინციპებს, რომლებითაც ის მუშაობდა, სულ რამდენიმე წლის წინ. ეს არ არის ჩვენი ქვეყნისთვის ახალი და მოულოდნელი, პირველად ეს ნაბიჯი გადადგა „ღია საზოგადოება – საქართველომ“, 1997 წელს, როდესაც მან გამოაცხადა კონკურსი ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებზე. იქიდან გახლავართ მე ავტორი და მას შემდეგ განათლების სისტემამ ძალიან ბევრი მოიგო, რა თქმა უნდა, მოიგო, საგამომცემლო საქმემაც. მგონია, რომ ამ გზის გაგრძელება უფრო შედეგიანი იქნება. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ განათლების სამინისტროს და მთავრობას ცუდი არაფერი უდევს გულში, მაგრამ თუ ჩვენც მოგვისმენს, როგორც მათ დამქირავებლებს, ძალიან გაგვიხარდება.“

კონფერენციის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის ხელმძღვანელმა **ხოსე ბორგინომ** განაცხადა, რომ უფასო სახელმძღვანელოების იდეა თავისთავად მშვენიერია, თუმცა მიუღებელია მისი განხორციელება ნებისმიერ ფასად. *„ეს პოლიტიკა თვითგამანადგურებელია. ჩვენ გვახსოვს მსგავსი ისტორიები უნგრეთსა და პოლონეთში, როცა სახელმძღვანელოების ბაზრის სახელმწიფო მონოპოლიზების შედეგად ვერ ხერხდებოდა იმ ხარისხის საგანმანათლებლო რესურსების შექმნა, რასაც პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები იმსახურებენ და მოელიან.*

სახელმწიფოს მიერ ბაზრის მონოპოლიზება ანადგურებს წარმატებულ ბიზნეს მოდელებს, გრძელვადიან ზარალს აყენებს საგანმანათლებლო პროცესებსა და ახალგაზრდების წიგნიერებას. ფაქტობრივად, შესაძლებელი ხდება ათასობით სამუშაო ადგილის დაკარგვა, რომლებიც, თავის დროზე, შექმნილი იყო პლურალისტური, კონკურენტული საგამომცემლო ბაზრის მიერ.“

საერთაშორისო დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ, ასევე, გამოცემის თავისუფლების პროგრამის ხელმძღვანელი **ბენ სტივარდი** და სახელმძღვანელოების გამომცემელთა მსოფლიო ფორუმის წევრი, ნორვეგიის გამომცემელთა ასოციაციის დირექტორი **კრისტენ ეინარსონი**.

ბენ სტივარდის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ და გამომცემლებმა მიაღწიონ სათანადო შეთანხმებას იმისათვის, რომ შეიქმნას პლატფორმა თანამედროვე სახელმძღვანელოების გამოსაცემად. უნდა შეიქმნას საუკეთესო სახელმძღვანელოები, შინაარსობრივი თვალსაზრისით, რომ სწავლების პროცესი რაც შეიძლება მაღალი დონის იყოს. ამის მისაღწევად აუცილებელია, განსხვავებული ტიპის, მრავალფეროვანი სასწავლო მასალები იყოს განხილული და არ გაკეთდეს აქცენტი მხოლოდ ერთზე. სახელმძღვანელოების სფეროს მონოპოლიზების შემთხვევაში კი, მსოფლიო პრაქტიკით, ვერც ერთმა მთავრობამ ვერ უზრუნველყო მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოების შექმნა. *„მთავრობა, რომლისთვისაც ძვირფასია ქვეყნის განათლება და მნიშვნელოვანია წარმატებული განათლების სისტემა, სახელმძღვანელოების ბიზნესს პროფესიონალების ხელში ტოვებს.“* – განაცხადა ბენ სტივარდმა.

თინათინ მამულაშვილმა პრესკონფერენციაზე ის მოსაზრებები გაახმოვანა, თუ რატომ არის მიუღებელი გამომცემლებისთვის სახელმძღვანელოების გრიფირების ახალი წესი: *„მიუღებელია იმიტომ, რომ ჩვენი აზრით, გამოქვეყნებული გრიფირების წესი მოიცავს ისეთ მუხლებს, რომლის თანახმადაც ჩვენ, გამომცემლებს, რომლებმაც შეიძლება მივიღოთ კონკურსში მონაწილეობა, არანაირი გარანტია არ გვაქვს, თუნდაც მივიღოთ საუკეთესო ქულები და საუკეთესოდ დასახელდეს ჩვენი სახელმძღვანელოები, რომ ისინი მოსწავლეების ხელში მოხვდება. უპირატესობა ენიჭება დაბალფასიან სახელმძღვანელოს და არა ყველაზე ხარისხიანს. ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ სამინისტროს ხარისხიან სახელმძღვანელოზე აეღო აქცენტი და სახელმძღვანელოები მხოლოდ მას შემდეგ შეესყიდა, რაც გაირკვეოდა, რომელ სახელმძღვანელოს აქვს ყველაზე მაღალი ქულები. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ჩვენი რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს და გადაწყვიტეს, შეაფასონ არა ხარისხით, არამედ, პირველ რიგში, ფასით. ამან გამოიწვია ჩვენი უკმაყოფილება. პრობლემა იმაშია, რომ შეიძლება მთელი წელი იშრომოთ, გაიმარჯვოთ კიდეც კონკურსში, მაგრამ თქვენი წიგნი სკოლის მიღმა აღმოჩნდეს.*

ალექსანდრე ჯეჯელავასთან მოლაპარაკება გასული წლის აგვისტოს ბოლოს დავიწყეთ და დეკემბრის ჩათვლით ვმუშაობდით გრიფირების ისეთ წესზე, რომელიც სამინისტროსთვისაც მისაღები იყო და გამომცემლებისთვისაც. ამ მოდელზე პრაქტიკულად შევთანხმდით და ველოდებოდით, დეკემბრის ბოლოს, გრიფირების გამოცხადებას. პარალელურად, არ შეგვიწყვეტია სახელმძღვანელოებზე მუშაობა იმიტომ, რომ თვითონ სამინისტრო გვეუბნებოდა, გააგრძელეთ მუშაობა, ფაქტობრივად, მო-

სახელმძღვანელოები

დელი შემუშავებული გვაქვსო. ამ პროცესში იურისტებიც იყვნენ ჩართული, საერთაშორისო ორგანიზაციებიც და მოულოდნელად, 2017 წლის იანვრიდან, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. გამოქვეყნებული გრიფირების წესი რომ წავიკითხეთ, იქიდან, რაც თვითონ განათლების მინისტრის მიერ იყო შემოთავაზებული 2016 წლის ბოლოს, არაფერი იყო დარჩენილი. ჩვენ ვერაფრით ვხსნით ,რა შეიცვალა, ვსვამთ კითხვას – რამ გამოიწვია ეს ცვლილება? რა მოხდა ისეთი, რომ შეთანხმებული გრიფირების წესი, რომელიც თვითონ მინისტრის მიერ იყო ინიცირებული, მოულოდნელად გარდაიქმნა ისეთ წესად, რომელიც ბუნდოვანია, ჩნდება სავსებით ლეგიტიმურ კითხვას – რას ემსახურება ეს ყველაფერი? თუ სამინისტროს აქვს პრიორიტეტად ხარისხი, მაშინ ის წესი, რომელიც თვითონ მინისტრის მიერ იყო შემუშავებული, ჩვენთვისაც მისაღებია და ვამბობთ, რომ მზად ვართ, ვიყოთ თავისუფალ კონკურენციაში ერთმანეთთან, მზად ვართ, ვითანამშრომლოთ განათლების სამინისტროსთან, ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მზად ვართ, ინვესტირება მოვახდინოთ სახელმძღვანელოებში, ოღონდ ეს უნდა იყოს აბსოლუტურად გამჭვირვალე და სამართლიანი პირობები.“

ბაკურ სულაკაურის გამოცემლობისა და კოლეგების სახელით, მან განაცხადა, რომ ქართველი გამომცემლები სრულად აცნობიერებენ იმ პასუხისმგებლობას, რაც დაკავშირებულია ახალი, თანამედროვე, ხარისხიანი სახელმძღვანელოების შექმნასთან. ისინი თავს მიიჩნევენ სამინისტროს პარტნიორებად ამ მნიშვნელოვან საქმეში და მზად არიან, ითანამშრომლონ იმ პირობებში, როდესაც იქნება თავისუფალი კონკურენტული გარემო, სამართლიანი პრინციპები და გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საგამომცემლო სფეროს განვითარებას და არა მის შემდგომ დაკნინებას. თანახმა არიან ისეთ გარემოში თანამშრომლობისთვის, სადაც დაცული იქნება საავტორო უფლებები და თუნდაც მოსწავლეთა უფლებები, ისწავლონ თანამედროვე, ინოვაციური სახელმძღვანელოებით, რომლის მაღალი ხარისხის შექმნა მხოლოდ ძლიერ გამომცემლებს შეუძლიათ.

მაია ლორთქიფანიძემ, რუსული ენის სახელმძღვანელოს ავტორმა (გამომცემლობა „არტანუჯი“) პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ, მიუხედავად უამრავი შეხვედრისა, სამინისტრომ არ გაითვალისწინა გამომცემელთა და ავტორთა პოზიცია და რომ არჩევნებამდე ბატონი ჯეჯელავა იყო ბევრად უფრო მომთმენი და ლოიალური, თითქოს ჩანდა, რომ რაღაც შეთანხმებაზე წამოსვლას აპირებდა. არჩევნების შემდეგ კი ნათელი გახდა, რომ ეს მხოლოდ დროის გაყვანის პოლიტიკა იყო. გამოქვეყნებული გრიფირების წესი სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ავტორებისთვისაც და გამომცემლებისთვისაც.

„პირადად ჩემს შეკითხვაზე – თუკი ჩემი სახელმძღვანელო აიღებს მაღალ ქულას, 100-ს და ჩემი კონკურენტი ავტორის – 80-ს, ანუ ბევრად დაბალს, რომელ სახელმძღვანელოზე გააკეთებს არჩევანს სამინისტრო? ჯეჯელავას პასუხი იყო – უფრო იაფზე. თუკი ჩემი კარგი სახელმძღვანელო ეღირება 1 ლარით ან 50 თეთრით მეტი მეორე სახელმძღვანელოზე, რომელიც შინაარსობრივ ნაწილში ბევრად ნაკლებ ქულას იმსახურებს, სამინისტრო იყიდის მეორეს. ეს მესიჯი ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს იმას, რომ სახელმძღვანელოების ხარისხი მკვეთრად დაიწევს, – განაცხადა ქალბატონმა მაიამ, – *საბჭოთა გადმონაშთი – ხარისხიანი და იაფი – ბუნებაში არ არსებობს. ეს გრიფირების ახალი წესის მთავარი ხარვეზია. ხარისხი უმნიშვნელოვანესია განათლების სისტემაში. პირველი და უმთავრესი, რაც დღეს ამ ქვეყანას სჭირდება, ჩემი ღრმა რწმენით, არის განათლების სისტემის დახვეწა და რაც შეიძლება, ხარისხიანი და უკეთესი პროდუქციის მიწოდება ბავშვებისთვის.*

ვფიქრობ, სამინისტრო შეძლებს მოძებნოს ისეთი გზა, რომელიც არ იქნება წამგებიანი, პირველ რიგში, ქვეყნისთვის. კონკურენტულ გარემოში შექმნილი სახელმძღვანელოები, ცხადია, ბევრად უფრო მაღალი ხარისხის იქნება და ამ კონკურენციას, როგორც წესი გამომცემლები ქმნიან ხოლმე. ვფიქრობ, გამომცემლების როლის არგაგება და არდაფასება სწორი არ არის.“

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარემ, **გვანცა ჯობავამ** აღნიშნა, რომ ქართველი გამომცემლები სრულად უჭერენ მხარს უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების პროგრამას, თუმცა, 2013 წლის დადგენილებამ საშუალება მისცა ხელისუფლებას, მიეთვისებინა გამომცემლების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები, დაებეჭდა და უფასოდ დაერიგებინა ისე, რომ ინტელექტუალური საკუთრების მფლობელისთვის შესაბამისი ანაზღაურების მიცემა არავის მოსვლია აზრად.

„ამჟამად ქართული საგამომცემლო სექტორი სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე დგას, ძალიან ბევრმა ადამიანმა უკვე დაკარგა სამსახური. პრაქტიკულად, ჩვენ გავხდით მსხვერპლი ძალიან დიდი სოციალური პროექტისა, რომელიც ჩვენმა მთავრობამ არჩევნების წინ განახორციელა.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ბოლო ოთხი წელია ტარდება, ძალიან უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაზე. ახალგაზრდების განათლება ჩვენს ქვეყანაში სერიოზული საფრთხის წინაშეა, რადგან გამომცემლების და ავტორების უმრავლესობას აღარ აქვს სურვილი, სრულიად გაურკვეველ პირობებში, შექმნას ახალი სახელმძღვანელოები. ნდობა საგამომცემლო სექტორსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის აღარ არსებობს.“

31 მარტს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **თეიმურაზ მურღულია** საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარეს, **გვანცა ჯობავას** და გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის გენერალურ მდივანს, **ხოსე ბორგინოს** შეხვდა. შეხვედრა მედიისთვის დახურული იყო.

ჟურნალისტებს, რომლებიც შეხვედრის დასრულებას ელოდებოდნენ, გაესაუბრა და მათ შეკითხებს უპასუხა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრიფირების სამართველოს უფროსმა, **ნანა კილასონიამ.**

შეკითხვაზე, არღვევს თუ არა სამინისტრო ავტორების და გამომცემლების საავტორო უფლებას, ქალბატონმა ნანამ უპასუხა, რომ საავტორო უფლებები, ზოგადად, ორკომპონენტოვანია – ქონებრივი უფლებები და არაქონებრივი. ქონებრივი უფლებები ეს არის ჰონორარის უფლება, ამ ნაწარმოების ნებისმიერად გამოყენებაზე და ის შეიძლება იყოს განკარგვადი, ნებისმიერი ქონების მსგავსად, *„მაგალითად, სახლს რომ ვყიდი, ერთი მომენტია, როცა მე ვეძებ კლიენტს, რომელიც ჩემთვის მისაღებია, ამ შემთხვევაში, გამომცემლის გადასაწყვეტია ამა თუ იმ ვარიანტზე დათანხმება და მეორე მომენტია, როცა არის პოტენციური მყიდველი, რომელიც ამბობს, მჭირდება სახლი, ასეთი და ასეთი. თუ ეს მის პირობებს არ აკმაყოფილებს, მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, შემოვა ამ თემაში თუ არა. აქედან გამომდინარე, ეს განკარგვადი უფლებაა. კიდევ ერთხელ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, როდესაც ვამბობთ, რომ კონტენტს ვიყიდით, იგულისხმება, რომ ქონებრივი უფლებებით ჩვენ ვისარგებლებთ და ამ სარგებლობაში გადავიხდით თანხას. საავტორო უფლებიდან გამომდინარე, ავტორს აქვს უფლება, მოითხოვოს ჰონორარი. ჩვენ ვთავაზობთ, რომ მოგვცენ ბეჭდვის და სკოლებში გავრცელების უფლება და ამაში გადავუხდით თანხას. სახელმწიფომ აწონ-დაწონა ყველაფერი და მიიჩნია, რომ ეს მოდელი მისთვის უფრო ხელსაყრელია. სახელმწიფო მოტივირებულია, შეიქმნას ისეთი პლატფორმა, სადაც ფიქსირებულზე ნაკლებ ფასს მიიღებს.“*

მან, ასევე, განაცხადა, რომ, *„რაც შეეხება სახელმძღვანელოების ხარისხს, აქ მთავარი მომენტია ის, რომ სახელმძღვანელო, რომელმაც დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა ხარისხის (შინაარსობრივს ვგულისხმობ), ნიშნავს, რომ ასქულიანიც და ოთხმოცდათხუთმეტქულიანიც თანაბრად რელევანტულია გრიფირების კუთხით. ინფორმაცია შეფასების შედეგების შესახებ, რაც რეცენზიის სახითაა წარმოდგენილი, არსად არ ქრება, ის მონაწილეობს სწორედ ფასთა კორელაციაში.“*

სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში, სახელმძღვანელოების ირგვლივ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც 28 მარტს გავრცელდა, არის ასეთი ჩანაწერი – *აღმოფხვრილია რიგი საზღვარგარეთული გამომცემლობების პრიორიტეტი უცხოენოვან სახელმძღვანელოებზე.* ჩვენ დავინტერესდით, ეხება თუ არა ეს ჩანაწერი მაკმილანის სახელმძღვანელოებს და ხომ არ აპირებს სამინისტრო მათი კონტენტის შეძენას და დაბეჭდვას, რაზეც ქალბატონმა ნანამ გვიპასუხა: *„საუბარია იმაზე, რომ ახალი გრიფირების პირობები, რომელიც გამოქვეყნდება, გავრცელდება როგორც უცხოელ გამომცემლებზე, ისე ადგილობრივზე. ეს წესი გავრცელდება ნებისმიერ უცხოელ გამომცემელზე თანაბრად. მაკმილანს გრიფი ჰქონდა და როცა აღარ ექნება, ის აღარ იქნება ძირითადი რესურსი სკოლებისთვის. ახალი პირობები თანასწორ მდგომარეობაში აყენებს როგორც უცხოელ, ასევე ადგილობრივ მწარმოებელს. თუ ეს პირობები ვინმესთვის მიუღებელია, ის იღებს გადაწყვეტილებას, მიიღოს თუ არა მონაწილეობა კონკურსში.“*

ნიშანდობლივი იყო, რომ შეხვედრის მონაწილეებს ერთობლივი პრესკონფერენცია არ გაუმართავთ და შეიძლება ითქვას, რომ ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებიც კი გააკეთეს. ჟურნალისტებთან პირველი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **თეიმურაზ მურღულია** გამოვიდა და განაცხადა, რომ მას არ მოუსმენია პრეტენზიები მსოფლიო ასოციაციისგან, მოისმინა ძალიან საინტერესო წინადადებები და პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს განსხვავებული მიდგომები. *„მოვისმინე რამდენიმე მნიშვნელოვანი მესიჯი და მინდა ყველამ იცოდეს, ითქვა, რომ იმ ფორმით, რა ფორმითაც ჩვენ ვთავაზობთ გამომცემლებს, არ ვარღვევთ არანაირ უფლებებს. გამომცემელთა ასოციაცია თვლის, რომ არსებობს სხვა მოდელები, რომლებიც გამოიყენება, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე არსებობს ის მოდელი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობას, შეესაბამება იმ კონკრეტულ საჭიროებას, რომელიც იმ ეტაპზე დგას.*

რა თქმა უნდა, ვაგრძელებთ კონსულტაციას და შევეცდებით, საზოგადოების ინტერესი როგორც ხარისხიან წიგნებში, ასევე საბიუჯეტო კუთხით იყოს მთავარი. არა მარტო შევეცდებით, არამედ მივაღწევთ კიდეც ამას.

დღევანდელმა შეხვედრამ გვაჩვენა, რომ გამომცემელთა ნაწილი მანიპულირებს ზოგადად გამომცემლების სახელით. ჩვენი სტუმარი გაოცებული იყო, როცა აღმოაჩინა, რომ გამომცემლები, როგორც მას ეგონა, ყველანი არ არიან და ვერც იქნებიან ერთ პოზიციაზე.

ჩვენ შევთანხმდით იმაზე, რომ თავისუფალი კონკურენციაა მთავარი მამოძრავებელი იმისთვის, რომ ჩვენს შვილებს კარგი სახელმძღვანელოები ჰქონდეთ.“

შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა სახელმძღვანელოს კონკურსგარეშე მიენიჭოს გრიფი, ბატონმა თეიმურაზმა უპასუხა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სკოლაში შეტანის აუცილებლობა განპირობებული იქნება ეროვნული ინტერესებით, რაც აქამდეც ასე იყო.

მინისტრის მოადგილის შემდეგ, ჟურნალისტებთან **ხოსე ბორგინო** და **გვანცა ჯობავა** გამოვიდნენ. გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მისთვის სიახლე არ იყო ის, რომ გამომცემელთა ნაწილი აგრძელებდა შეხვედრებში მონაწილეობას და სამინისტროსთან მოლაპარაკებას. *„ჩვენი პოზიცია ძალიან ნათელია, ამ საკითხში მხარს ვუჭერთ ჩვენს წევრს – საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციას მის წევრ გამომცემლებთან ერთად. ჩვენ გვქონდა ხანგრძლივი და საინტერესო განხილვა მინისტრის მოადგილესთან. მას მივაწოდეთ კონკრეტული რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება გამოსწორდეს ის კონკრეტული პუნქტები, რომლებთან დაკავშირებითაც არსებობს დავა გამომცემლებსა და განათლების სამინისტროს შორის. ასევე ავუხსენით, რატომ შეიძლება იმ გზამ, რომელიც დღეს აქვთ არჩეული, უარყოფითი შედეგი მოიტანოს ქართველი მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და ზოგადად საგანმანათლებლო სისტემისთვის.*

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, გაგრძელდება თუ არა, ამ შეხვედრის შემდეგ, ქართველ გამომცემლებს, გამომცემელთა ასოციაციას და განათლების სამინისტროს შორის თანამშრომლობა მოლაპარაკების რეჟიმში. ჩვენ აქ გავიგეთ, რომ იგეგმება შეხვედრა გამომცემლებთან და მივიღეთ პირობა, რომ ამ შეხვედრაზე დაპატიჟებენ როგორც გამომცემელთა ასოციაციას, ასევე მის წევრ გამომცემლებს. დიდი იმედი მაქვს, რომ იმ შეხვედრაზე მაინც რაიმე შეთანხმების მიღწევა იქნება შესაძლებელი.“

გვანცა ჯობავა, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე: *„უმაღლესი რანგის ექსპერტი გვყავდა სტუმრად, რომელიც ძალიან კარგად იცნობს ამ სფეროს და იცის, რა შედეგებამდე შეიძლება მივიდეს არა მხოლოდ საგამომცემლი სექტორი, არამედ ზოგადად განათლების სისტემა საქართველოში, თუკი გავაგრძელებთ იმ გზას, რომელსაც ამ შემთხვევაში ვადგავართ.*

რაც შეეხება შეხვედრის შედეგს, რა თქმა უნდა, მინისტრის მოადგილემ მოისმინა ჩვენი უცხოელი ექსპერტისგან რეკომენდაციები, იყო აქტიური მსჯელობა, ჩვენ ვცდილობდით, ყველა არგუმენტი მოგვეშველიებინა. განხილვის თემა, ძირითადად, იყო გრიფირების წესში შესული ორი პუნქტი, რომლებიც ყველაზე მეტად სადავოა. გავაცანით ჩვენი პოზიციები, თუმცა ვიცოდით, დაახლოებით, რა არგუმენტებიც აქვს ამ მიმართულებით სამინისტროს და ისინი კვლავაც მყარად დგანან ამ პოზიციაზე.

გვითხრეს, რომ 10 აპრილს იმართება შეხვედრა გამომცემლებთან. ჩვენ ეს დღეს პირველად გავიგეთ, როგორც ჩანს, ეს შეხვედრა არ გულისხმობდა გამომცემელთა ასოციაციის წევრ გამომცემლებს. თუმცა, მივიღეთ შემოთავაზება, რომ ასოციაცია, მის წევრ გამომცემლებთან ერთად, შესაძლებელია, დაესწროს ამ შეხვედრას. ჩემი მთავარი კითხვა იყო – თუკი ჩვენ დავესწრებით ამ შეხვედრას, განიხილება თუ არა ის ორი პუნქტი, რომელიც ყველაზე მეტად პრობლემატურია გამომცემლებისთვის ამ გრიფირების წესში. სამწუხაროდ, ვერ მივიღე დაზუსტებული პასუხი. თუმცა, 10 აპრილის შეხვედრას აუცილებლად დავესწრებით და კიდევ ერთხელ შევეცდებით გამოვიყენოთ ეს შანსიც და ვიმსჯელოთ იმ პუნქტებზე, რომლებიც ასე მნიშვნელოვანია.“

3 აპრილს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ალექსანდრე ჯეჯელავამ** გამომცემლებს, რომლებიც გრიფირების ახალ წესთან დაკავშირებით უკმაყოფილებას გამოთქვამენ, უპასუხა: *„მათ, თავის დროზე, შეძლეს, მაღალ ფასად ცუდი სახელმძღვანელოები შეექმნათ. ამიტომ, მათი წუხილი სახელმძღვანელოების ხარისხზე, მე მგონი, უადგილოა. მე დარწმუნებული ვარ და ვაგებ პასუხს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები იქნება ძალიან ხარისხიანი. ჩვენ ჯერ საუკეთესო წიგნებს გადავარჩევთ და შემდეგ საუკეთესოებში შედგება საფასო კონკურენცია, ანუ საუკეთესოებში ყველაზე დაბალი ფასის მქონეს ავირჩევთ“.*

მისივე თქმით, სახელმძღვანელოების შერჩევისას სამინისტრო იმავე პრინციპით ხელმძღვანელობს, რასაც მსოფლიო ბანკი იყენებს საკონსულტაციო მომსახურებაში, სადაც ხარისხს აქვს მაღალი წონა და მხოლოდ მაღალი ხარისხის მომწოდებლები უწევენ ერთმანეთს ფასით კონკურენციას.

ამ განცხადების შემდეგ, ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ განათლების სამინისტრო საკუთარი პოზიციის შეცვლას არც კი განიხილავს. როგორც ჩანს, ვერც გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის წარმომადგენელთა სტუმრობამ გამოიღო შედეგი და არც 10 აპრილს დანიშნული შეხვედრა იქნება ცვლილების მომტანი.

არქივიდან

მაჩაბლის უცნობი ფოტოარქივი

მაკა ყიფიანი

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, ცოტა ხნის წინ, ძალზე ძვირფასი საჩუქარი მიიღო, ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, მთარგმნელის, ივანე მაჩაბლის დღემდე უცნობი ფოტოკოლექცია.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ომის დროს, ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენში მოქმედი, ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი საბოლოოდ განადგურდა. სწორედ ამ მუზეუმის დამაარსებლისა და პირველი დირექტორის, **ვასილ ნამშურიძის** შვილიშვილმა, **ზვიად გოგორიშვილმა**, ბაბუის მიერ შეგროვებული და გადარჩენილი, ივანე მაჩაბლის ოჯახისა და მაჩაბლების საგვარეულოს ორიგინალი, ბევრისთვის უცნობი ისტორიული ფოტოარქივი, ბაბუის გარდაცვალების შემდეგ, მის სახლში იპოვა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა.

მაჩაბლების საგვარეულოს ამ ფოტოკოლექციის არსებობის შესახებ, წლების განმავლობაში, არავინ იცოდა. სოფელ თამარაშენში, ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის დამაარსებელმა, ვასილ ნამშურიძემ, ჯერ კიდევ 90-იანი წლების ომის დროს, არქივი, რომელსაც 26 წელი აგროვებდა, დაცვის მიზნით, საკუთარ სახლში შეინახა. გარდა ფოტოებისა, კოლექციაში ინახება ცნობები ივანე მაჩაბლის პირველი სახლ-მუზეუმის დაარსების შესახებ. ვასილ ნამშურიძეს დეტალურად აქვს აღწერილი მუზეუმისთვის მოძიებული ექსპონატების სიაც. არქივში ინახება წერილი, თუ როგორ ეწეოდნენ ვასილ ნამშურიძის დისკრედიტაციას, თამარაშენში მუზეუმის დაარსების გამო. თბილისში, მისი ოჯახის წევრებს, მუქარის ანონიმური წერილებიც კი მისდიოდათ, რომ ივანე ნამშურიძე წამოსულიყო მუზეუმიდან, რადგან იქ, ივანე მაჩაბლის სახლში, მუზეუმი არ უნდა ყოფილიყო. წერილში მუზეუმის დირექტორი ითხოვს, მოიძიონ ანონიმური წერილების ავტორები და მისცენ მას „კეთილშობილური განზრახვის განხორციელების საშუალება“. ის მუზეუმის მძიმე მდგომარეობასაც აღწერს. ეს პატარა წერილი საბჭოთა ისტორიის კიდევ ერთი საინტერესო ნიმუშია, რომელშიც ნათლად ჩანს, თუ რის ფასად ხდებოდა საბჭოთა პერიოდში ეროვნული მემკვიდრეობის გადარჩენა: *„მოგახსენებთ, რომ 26 წლის წინ დავისახე მიზნათ სამხრეთ ოსეთში-ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენში დაარსებულიყო დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ივანე გიორგის ძე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი. მთელი ამ 26 წლის მანძილზე, მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები გადამეღობა. ამ ბოლო დროს მაინც მივაღწიე მიზანს. ჩემი ხანგრძლივი და შეუწყვეტელი მეცადინეობის შედეგად, საქ. ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ გამოიტანეს ერთობლივი დადგენილება, რომ სოფ. თამარაშენში დაარსდეს ი. მაჩაბლის სახლ-მუზეუმი და პარალელურად ამისა, მწერალთა შემოქმედებითი სახლი. მე ამ სტრიქონების ავტორი, დამნიშნეს ზემოთ დასახელებულ დაწესებულებათა დირექტორად. ეს მაჩაბლისეული სახლი დამხვდა განადგურებული, გარდა კედლებისა და იატაკისა, ზედ აღარაფერი გააჩნია. ერთად ერთი პატრონი ჯერჯერობით მე ვარ, მაგრამ მავიწროვებენ, რათა თავი მივანებო და რაც გაძარცვას გადარჩა, ისიც მოსპონ. აქ, თბილისში მომდის მუქარისა და გამაფრთხილებელი ბარათები. ერთ-ერთ ასეთ ბარათს თქვენ გირდგენთ და გთხოვთ, რათა გასცეთ განკარგულება, რომ დაიძებნოს ამ უავტორო ბარათების ავტორები და სათანადო პასუხი მოეთხოვოთ და შემექმნას პირობები, თავისუფლად შემეძლოს ჩემი კეთილშობილურ ზრახვათა განხორციელება – ვ. ნამშურიძე IV/ 1975.“*

სამწუხაროდ, დღეს, სოფელი თამარაშენი მიწასთან გასწორებულია, დანგრეულია მაჩაბლისეული ისტორიული ნაგებობა და სახლი, რომელიც პირველად 90-იან წლებში ააფეთქეს. მას შემდეგ, მაჩაბლის მუზეუმისთვის მემორიალური შენობის აღდგენა მოხერხდა, თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საბოლოოდ დაანგრიეს. მაჩაბლების ფოტოკოლექცია, მათი საგვარეულოსა და მათთან დაკავშირებული პირების, ორიგინალი ფოტომასალისგან შედგება. კოლექციას თან ახლავს მუზეუმის დაარსების ისტორია, პირველი დირექტორის პირადი არქივი, ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობების ამსახველი მასალები და სხვ.

მაია სიმონიშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი, ანგლო-ამერიკული დარბაზის კურატორი: *„ივანე მაჩაბლის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი უდიდესი ღვაწლი საზოგადოების წინაშე ყველასთვის საინტერესოა, საიდუმლოებითაა მოცული მისი საბოლოო ბედიც, რაც დღემდე ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვლევის საგანს წარმოადგენს. როდესაც ჩემი ახლობელი დამიკავშირდა და მითხრა, რომ მასთან ბაბუის – ვასილ ნამშურიძის დანატოვარი, მაჩაბლების ფოტოარქივი ინახებოდა, ძალიან გავოცდი. თამარაშენში ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი დაინგრა, რის შემდეგაც ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის იმდროინდელმა დირექტორმა, ბატონმა* ***ელგუჯა გაგნიძემ****, წეროვნის დევნილთა დასახლებაში, საკუთარ კოტეჯში, ივანე მაჩაბლის მუზეუმი დააარსა. მაგრამ, ორი ომის და დაბომბვების შედეგად, მასალები იმდენად მწირია, რომ ნებისმიერი კვალი მაჩაბლის თემასთან დაკავშირებით ჩვენთვის, ფაქტობრივად, გარღვევაა. სხვა დამსახურებებს შორის, მნიშვნელოვანია მისი როლი ქართულ-ბრიტანული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში, მთარგმნელობითი სკოლის შექმნაში, თუ როგორ ეხმარებოდა მარჯორი უორდროპს რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანშიც. რა თქმა უნდა, როდესაც ეს მასალები მაჩვენეს, მაშინვე ეროვნული ბიბლიოთეკა გამახსენდა, რომ მაჩაბლების არქივი დღეისთვის უსაფრთხო ადგილას ყოფილიყო, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი, პირველ რიგში კი, მაჩაბლის შთამომავლებს უნდა ენახათ. არქივში 50-მდე ორიგინალი ფოტოა, ასევე ასლები. ფოტოებზე ბევრი უცნობი ადამიანია, რომელთა იდენტიფიკაცია მიმდინარეობს. ჩვენ ყველა ფოტოს ვამუშავებთ, დავასკანერებთ, რის შემდეგაც განთავსდება ჩვენს ციფრულ ბიბლიოთეკაში „ივერიელი“ და ყველა მსურველი იხილავს.“*

თამუნა ჩერქეზიშვილი, ივანე მაჩაბლის შთამომავალი, მეხუთე თაობა: *„კოლექციის შესახებ არაფერი ვიცოდი, პირველად, სოციალურ ქსელში ვნახე ეს ინფორმაცია, შემდეგ ქალბატონი მაია დამიკავშირდა და მთხოვა, მოვსულიყავი, ფოტოების იდენტიფიკაციაში დავხმარებოდი. მართლაც ძალიან საინტერესო ფოტოებია, სასიხარულოა, რომ ეს უცნობი კოლექცია გამოჩნდა და მასზე მუშაობა შეიძლება. რა თქმა უნდა, სახლში გვაქვს წინაპრების ფოტოები, მაგრამ აქ წარმოდგენილი სურათები პირველად ვნახე. ივანე მაჩაბელი ძალიან საინტერესო პიროვნებაა ქართული საზოგადოებისთვის, მის შესახებ ახალს ვერაფერს ვიტყვი. მე მოვესწარი უშუალოდ ივანე მაჩაბლის შვილს – ქალბატონ ელენეს, როცა ის გარდაიცვალა, 12 წლის ვიყავი და ძალიან კარგად მახსოვს. ჩვენს ოჯახში იყო ატმოსფერო, რომელიც დიდი პატივისცემით განგვაწყობდა ივანე მაჩაბლის, მისი თარგმანებისა და წიგნების მიმართ. თქვენ იცით, რომ ივანე მაჩაბლის გარდაცვალება ბურუსითაა მოცული, სამხილი და კვალი საერთოდ არ არსებობს. ოჯახში ამ თემაზე არ ვსაუბრობდით. თბილისში, კოსტავას ქუჩაზე დგას სახლი, სადაც ივანე მაჩაბელი ცხოვრობდა. იქ, მემორიალური დაფაც ეკიდა, თუმცა, 90-იან წლებში ის დაფაც გაქრა. თუკი სახელმწიფოს კეთილი ნება იქნება, შესაძლებელია თუნდაც ამ სახლში გაკეთდეს ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი.“*

გიორგი კეკელიძე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი: *„როგორც წესი, აქამდე ბიბლიოთეკაში მხოლოდ წიგნები ინახებოდა, ჩვენ გავაფართოვეთ „ბრძოლის ველი“, ეროვნული ბიბლიოთეკა ძალიან აქტიურად მუშაობს ფოტოკოლექციის მიმართულებითაც. ვცდილობთ, ელექტრონული თუ ბეჭდური ფოტოები პირველადი ვერსიით მოვიპოვოთ. ეს შემთხვევაც ასეთი გახლავთ. სასიხარულოა, რომ მოვიპოვეთ უკიდურესად მნიშვნელოვანი არქივი, რომელიც მოიცავს ძალიან მნიშვნელოვანი ოჯახის აქამდე უცნობ ფოტოებს. აქ არ არის მაინცდამაინც ერთ ან ორ სახელზე საუბარი. მაჩაბლების ოჯახი ძალიან სერიოზული წარმომადგენლობა გახლდათ ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში.*

ეს ყველა მასალა მნიშვნელოვანია პერიოდიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ფოტოები ინახავენ სხვა ადამიანებსაც, რომელთა ნაწილი ჩვენთვის, ამ წუთას, უცნობია. ორგანიზაცია, სადაც ეს არქივი მოხვდა, კვლევითია და ვცდილობთ ამ ადამიანებს მივაგნოთ. ფოტოარქივში წარმოდგენილი არიან როგორც სამხედრო პირები, ისე ჩვეულებრივი მოქალაქეები. ვცდილობთ, აღვადგინოთ სურათი, რომელიც, ვიზუალური თვალსაზრისით, ნაკლულია ჩვენს ისტორიაში. მე-19 საუკუნის მიწურული და მე-20 საუკუნის დასაწყისი, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ისტორიულ წერილობითი ფაქტებით ვიცით, ვიზუალური კონტექსტი, ანუ ხალხი, მონაწილე ადამიანები ძალიან იშვიათადაა ცნობილი. ამიტომაც არის ეს შენაძენი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელი. ეროვნული ბიბლიოთეკის ფარგლებში, მცირე ფოტომუზეუმის შექმნასაც ვაპირებთ, რომელიც ერთ-ერთი პირველი ქართველი ფოტოხელოვანის ***ალექსანდრე როინაშვილის*** *სახელობის იქნება. ვფიქრობთ, მაჩაბლის კოლექცია ძალიან მნიშვნელოვან და ღირსეულ ადგილს დაიკავებს, მაგრამ, ამ სახელისთვის და ამ დანატოვარისთვის ეს საკმარისი ნამდვილად არ არის. ამ ყველაფერს გაგრძელება და სხვა ფორმის მიცემა სჭირდება.“*

ლევან თაქთაქიშვილი, საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელი: *„სამწუხაროდ, საქართველოში ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი არ არსებობს. მოგეხსენებათ, ეროვნული ბიბლიოთეკა, თავის დროზე, იყო სათავადაზნაურო ბანკის შენობა, რომლის ერთ-ერთი აქტიური დამაარსებელი იყო ივანე მაჩაბელი. ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენ დღეს ვფლობთ ერთ-ერთ სერიოზულ კოლექციას, მაჩაბლების ფოტოარქივს, რომელიც შეემატება ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებს. ჩვენ მკითხველებს საშუალება ექნებათ, ნახონ ივანე მაჩაბლის, მისი ოჯახის და ახლობლების ორიგინალი ფოტოები. ამ მასალებში შეგვხვდა ბევრი ცნობილი ადამიანის ფოტო, მაგალითად,* ***იეთიმ გურჯის*** *ორი ორიგინალი ფოტო, რომელიც ჩვენთვის აქამდე უცნობი იყო, ასევე არის ქართველი პოეტისა და მთარგმნელის* ***ხარიტონ ვარდოშვილის*** *აქამდე უცნობი ფოტო. რა თქმა უნდა, საინტერესოა თვითონ მაჩაბლების ფოტოები, რომელთა შთამომავლებს ტრაგიკული ისტორია ჰქონდათ. აქ არის ილია მაჩაბლის (ივანე მაჩაბლის ძმიშვილი) ფოტოები, რომელიც 1937 წელს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი იყო და სწორედ ამ შენობიდან, ბიბლიოთეკიდან აიყვანეს. ერთი სიტყვით, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ძალიან მდიდარი კოლექცია შეიძინა. ეს ფოტოები ერთ-ერთი გამორჩეული კოლექციაა ბიბლიოთეკისთვის. ამჟამად ვმუშაობთ ფოტოების იდენტიფიკაციაზე, რომელიც ძალიან რთული პროცესია. იდენტიფიკაცია ხდება ახლობელ-ნათესავების და მეცნიერების დახმარებით. მაჩაბლების არქივის იდენტიფიკაციისთვის მოწვეული გვყავს მაჩაბლების ახლო ნათესავი* ***დალი სახოკია,*** *ასევე გვეხმარება გენეალოგი* ***იური ჩიქოვანი*** *და მისი მეუღლე ირა.*

ბიბლიოთეკის კარი ღიაა ყველა მცოდნე პირისთვის, ვისაც მონაწილეობის მიღება სურს ფოტოების კვლევაში. მომავალი კვლევებისთვისაც სასურველია, ვიცოდეთ ყველა პიროვნება, რომელიც ფოტოზეა გამოსახული. ქალბატონმა დალიმ შემოგვთავაზა, რომ მისი საოჯახო არქივიც დასკანერდეს და ამ კოლექციას შეუერთდეს. ასე რომ, ჩვენ მზად ვართ, ვისაც კი ივანე მაჩაბლისა და მაჩაბლების შესახებ რაიმე ფოტო აქვს, ერთად გავაკეთოთ სრული ციფრული კოლექცია. დიდი მადლობა ქალბატონ მაიას, რომ მოიპოვა და ბიბლიოთეკაში მოგვიტანა მაჩაბლების ეს არაჩვეულებრივი არქივი.“

თბილისში, კოსტავას ქუჩაზე არსებობს სახლი, რომელშიც ივანე მაჩაბელი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ეს ის ისტორიული სახლია, რომლიდანაც 1898 წლის 26 ივნისს ივანე მაჩაბელი გაუჩინარდა და უგზოუკვლოდ დაიკარგა. ამ სახლზე დღეს მემორიალური დაფაც არ არის.

ივანე მაჩაბლის ამბავი კიდევ მრავალ აღმოჩენას გვპირდება, მანამდე კი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მაჩაბლების უცნობ ფოტოარქივს გაგაცნობთ.

ПРОФЕСИА ПЕДАГОГИ

გლობალური ჯილდო საუკეთესო მასწავლებლისთვის

პირველი გვერდიდან

– რა მოვლენაა განათლების გლობალური ფორუმი?

– ფორუმი, ყოველწლიური ფართომასშტაბიანი კონფერენცია, განათლების საკითხებზე მომუშავე ფონდის მიერ ეწყობა და მისი მიზანიც განათლების სფეროს პოპულარიზაციაა.

ფორუმი საზოგადოებრივი ღონისძიებაა, რომლის მიზანია, დუბაიში მოუყაროს თავი განათლების საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა აქტორს, იქნება ეს სამთავრობო წრეებიდან, საერთაშორისო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, ასევე, უნივერსიტეტების წარმომადგენლებს, დამოუკიდებელ ექსპერტებსა და ა.შ. ამ ღონისძიების იდეაა, შექმნას ფორუმი, სადაც მონაწილეები ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს – სად ვართ განათლების თვალსაზრისით და რა არის საჭირო, რომ უკეთესი და ყოვლისმომცველი გახდეს განათლების სისტემა, მსოფლიო მასშტაბით. დაახლოებით, 2000-მდე მონაწილე იკრიბება ხოლმე დუბაიში, უკვე ტრადიციადქცეულ, ღონისძიებაზე, სადაც საკმაოდ მაღალი რანგის სტუმრებიც ჩამოდიან – იუნისეკოს გენერალური დირექტორი, OECD-ის განათლების მიმართულების ხელმძღვანელი პირები, სხვადასხვა უნივერსიტეტის განათლების პოლიტიკის ფაკულტეტების წამყვანი პროფესორები, მედიასაშუალებები, მაგალითად, საკმაოდ ინტენსიურად ესწრებიან ნიუ-იორკ ტაიმსის განათლების მიმართულების წამყვანი მედიასპეციალისტები, ექსპერტები და, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ქვეყნის განათლების მინისტრები თუ სხვა ხელმძღვანელი პირები, მათ შორის – ძალიან ბევრი ექსპერტი, განათლების სპეციალისტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ფორუმი ასევე ემსახურება მასწავლებელთა პროფესიის პოპულარიზაციას, რადგან სწორედ მის მეორე დღეს იმართება მასწავლებლის გლობალური ჯილდოს გადაცემის ცერემონია და საზეიმოდ ვლინდება მსოფლიოს საუკეთესო მასწავლებლის ვინაობა.

– ესწრებოდა თუა არა ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი, თქვენამდე, გლობალურ ფორუმს?

– საზოგადოების სექტორიდან, განათლების სპეციალისტების წრეებიდან, აქამდე, ამ ღონისძიებას ჯერ არავინ დასწრებია. წელს, ჩვენი ვიზიტით, საფუძველი ჩავუყარეთ იმას, რომ საქართველოდანაც იყო წარმომადგენელი.

გვინდა, ამ ღონისძიებას პოპულარიზება გავუწიოთ და რაც შეიძლება მეტი ქართველი აქტორი დავაინტერესოთ მასში მონაწილეობით. ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა, შეხვდე განათლების სფეროს წარმომადგენლებს, გაიგო რა დისკურსია დღეს საერთაშორისო დონეზე, წარმოაჩინო საკუთარი პრობლემები და გამოწვევები, მოისმინო რჩევები და გაეცნო უამრავ სიახლეს; გეძლევა შესაძლებლობა, ერთ სივრცეში შეხვდე ისეთ ადამიანებს, რომლებთან შეხვედრაც სხვა ვითარებაში არც თუ ისე ადვილია. ამიტომაც გვინდა, წარმოვაჩინოთ ფორუმი, როგორც საუკეთესო საშუალება, საქართველომ საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანოს საკუთარი გამოწვევები და იპოვოს მეგობრები, პარტნიორები და ამით, გარკვეულწილად, მეტად განამტკიცოს საერთაშორისო ქსელი. ამიტომ გვინდა, რომ მომავალ წელს, ფორუმზე, კიდევ უფრო მეტი წარმომადგენელი გაემგზავროს საქართველოდან. იმედია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც გამოიყენებს ამ შესაძლებლობას – დაესწრებიან და ისარგებლებენ იმ სიკეთეებით, რასაც ეს ფორუმი იძლევა.

– „მასწავლებელთა გლობალური ჯილდო“ მართლაც გლობალურია პრიზისთვის განკუთვნილი თანხის ოდენობით. ამ ტიტულის მისანიჭებლად როგორ ირჩევენ წლის საუკეთესო მასწავლებელს?

– ერთ-ერთი მსხვილი ღონისძიება, რომელიც, ტრადიციულად, ფორუმის მეორე დღეს იმართება, გლობალური პრიზის გადაცემის ცერემონიალია. საჯაროდ, საზეიმო ვითარებაში ასახელებენ გამარჯვებულს და მისთვის განკუთვნილ პრიზს გადასცემენ. ფონდმა დააწესა პრიზი, რომელიც ერთ მილიონ დოლარს შეადგენს და, ყოველწლიურად, ერთ გამარჯვებულ მასწავლებელს გადაეცემა. ასეთი მასშტაბური ხასიათის დაჯილდოება უკვე მესამედ გაიმართა. ფონდისა და გლობალური ჯილდოს მიზანია, ასეთი გამორჩეული ღონისძიებით, მსოფლიო საზოგადოებას მასწავლებლის პროფესიაზე მიაქცევინონ ყურადღება.

გამორჩეულად საინტერესოა არა მხოლოდ დაჯილდოების ცერემონია, არამედ ის პროცედურები და კრიტერიუმები, რომლითაც წლის განმავლობაში მიიღება აპლიკაციები და შემდგომ გამოვლინდება გამარჯვებული. ონლაინ რეჟიმში, დაახლოებით, 20 ათასზე მეტ აპლიკაციას იღებენ. ბრიტანული უნივერსიტეტების დახმარებით, შემუშავებული აქვთ ძალიან საინტერესო ელექტრონული პროგრამა, რომელიც ფონდს, ამ რაოდენობის აპლიკაციებიდან, შედარებით მოკლე სიის (500-1000 პედაგოგამდე) შედგენაში ეხმარება. შემდეგ ამ აპლიკაციებს ე.წ. მასწავლებელთა გლობალური პრიზის აკადემია ეცნობა, რომელიც 200 ექსპერტისგან შედგება. ისინი დამოუკიდებლად კითხულობენ აპლიკაციებს, რათა 50 ფინალისტი გამოავლინონ, მათგან კი მხოლოდ ათეული ირჩევა. ფინალისტთა ათეულის გამოვლენისას, მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტის წარმომადგენლობითობას იცავენ. რადგან პრიზი გლობალური ხასიათისაა, საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენა მხოლოდ ერთ გეოგრაფიულ არეალში არ მოხდეს. საბოლოოდ კი, აკადემია დახურულად მსჯელობს, ათეულიდან ვინ იქნება, ფორუმის მეორე დღეს, გამარჯვებული.

მათ მოახერხეს და ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი და საინტერესო მოღვაწე, პოლიტიკოსი თუ საზოგადოებრივი სახე მიიზიდეს. ყოველწლიურად, საკმაოდ მაღალი სტატუსის მქონე ადამიანები ერთვებიან პრიზის გადაცემის ცერემონიალში. მაგალითად, შარშანდელი გლობალური პრიზის გამარჯვებული – დაწყებითი კლასების პალესტინელი პედაგოგი რომის პაპმა გამოაცხადა. წელს კი, კოსმოსიდან ჩართეს ევროპის კოსმოსური ექსპედიციის წარმომადგენელი. მან ჩართვა საფრენი აპარატიდან განახორციელა და წლევანდელი პრიზიორი დაასახელა – კანადელი პედაგოგი მეგი მაკდონელი. იგი, თავის პროფესიაში მართლაც გამორჩეული პიროვნებაა, საუკეთესო შედეგებს აღწევს სოციალური მეცნიერებების მიმართულებით სწავლებაში. თუმცა, კონკურსისთვის ის კი არ არის მნიშვნელოვანი, რომელ საგანს ასწავლის პედაგოგი, არამედ – როგორ ასწავლის. კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელი პირობაა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლიდეს 5-დან 18 წლამდე ბავშვებს, არცერთ საგანს უპირატესობა არ ენიჭება – შეიძლება იყოს სპორტი, მათემატიკა, დაწყებითი განათლება თუ სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რამდენად ახერხებს მასწავლებელი კარგი შედეგების მიღწევას და რეალურად აღწევენ თუ არა მისი მოსწავლეები ამ შედეგებს, ასევე, რამდენად ახერხებს დაწესებული კურიკულუმის (სტანდარტების) ზემოთ ცოდნის მიწოდებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენად ახერხებს პედაგოგი იყოს წარმატებული არა მხოლოდ მოსწავლეებისთვის ცოდნის გადაცემის თვალსაზრისით, არამედ მოსწავლეებს გადასცეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარები, მათთვის იყოს „როლური მოდელი“, კრეატიულად მიუდგეს სწავლა-სწავლების პროცესს; ჩართოს არა მხოლოდ სტანდარტული მეთოდები, არამედ საინტერესო მიდგომებიც გამოიყენოს. ყურადღება ექცევა იმასაც, თუ რამდენად ახერხებს მასწავლებელი, მოსწავლეს გადასცეს ჰუმანიზმსა და გლობალურ მოქალაქეობაზე ორიენტირებული ღირებულებები. პედაგოგი, გარდა იმისა, რომ მოსწავლეს კონკრეტული კულტურისთვის მნიშვნელოვან იდენტობას უძლიერებს, ასევე, ამზადებს მას სამყაროში თანაცხოვრებისთვის, სადაც მრავალი კულტურის, განსხვავებული აზრის და რელიგიის, ეთნოსის ადამიანები არიან. დღეს ახალგაზრდა მზად უნდა იყოს ასეთ მრავალფეროვან გარემოში განვითარებისთვის და მასში ადაპტირებისთვის, ჰარმონიულად შერწყმისთვის.

– თქვენ როგორ მიიღეთ წელს აკრედიტაცია?

– ორგანიზატორების სურვილია, პედაგოგის პროფესიის პოპულარიზების მიზნით, სხვადასხვა ქვეყანაში, დაწესდეს მასწავლებელთა ასეთივე აღიარებული ჯილდოები. რა თქმა უნდა, უპრიანია, ამ ჯილდოს საზოგადოებრივი ორანიზაციები და მასწავლებელთა საზოგადოება თავად გასცემდეს და არა სახელმწიფო უწყებები. ეს ძალიან ყურადსაღები ინფორმაციაა იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოებრივი გაერთიანებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელთა პროფესიის პოპულარიზაციისკენ მიმართული ქმედითი ნაბიჯები გადადგას ქვეყანამ და ამ პროცესში ჩვენც ჩავერთოთ. იმავდროულად, გვჯერა, რომ პროფესიებში გამორჩეული ადამიანები თვითონ საზოგადოებამ უნდა გამოავლინოს, სახელმწიფო კი უფრო მხარდამჭერი ფუნქციის მატარებული უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, გამოვიჩინეთ ინიციატივა და დავიწყეთ მუშაობა გლობალურ ჯილდოსთან პარტნიორობის დასამყარებლად, რაც წამარმატებით მოვახერხეთ. წელს, ფორუმზე, ჩვენც გადმოგვცეს აკრედიტაცია, რომ საქართველოში დავიწყებთ ამ ჯილდოს განხორციელებას. თავისთავად იგულისხმება, რომ უნდა გამოვიყენოთ მათი მეთოდოლოგია, თუმცა, რასაკვირველია, არასრულად, რადგან ის ძალიან ფართომასშტაბიან კონკურსზეა გათვლილი და, ბუნებრივია, საქართველოში ამ მასშტაბის ღონისძიებას ვერ ჩავატარებთ. ამიტომ ვფიქრობ, გარკვეული ადაპტირება უნდა მოვახდინოთ და პროცესში მაქსიმალურად ბევრი აქტორი ჩავრთოთ, მათ შორის კოალიციაში გაერთიანებული სუბიექტები – მასწავლებელთა ასოციაციები, პროფკავშირი და ა.შ. რაც მთავარია, კონკურსის ჩატარების მეთოდოლოგია მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული ჩვენს რეალობაზე და აუცილებლად - დაძლევადი.

ფორუმზე მიღებული აკრედიტაცია სხვა სიკეთესაც გულისხმობს – ჩვენთან გამოვლენილი საუკეთესო პედაგოგების აპლიკაციებს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ და იქიდან გამომდინარე, რომ მათ, ქვეყნის დონეზე, უკვე გაიარეს ფილტრაცია, უფრო იოლად გადაიყვანენ შემდგომ ეტაპებზე განსახილველად. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნის გამარჯვებული ავტომატურად მოხვდება ათეულში ან თუნდაც ორმოცდაათეულში. მაგრამ ვფიქრობთ, პირველ გამოხშირვაში აუცილებლად მოხვდება, ანუ 500 პედაგოგში. გლობალური აკადემია სწორედ ამ 500-ის აპლიკაციას ეცნობა დეტალურად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი მასწავლებელიც დაიმსახურებს აკადემიის მოწონებას და 50 ათეულში ან სულაც ათეულში აღმოჩნდება. მაგალითად, წელს 50 ათეულში აზერბაიჯანიდან ინგლისური ენის პედაგოგი დასახელდა. ეს ჩვენი რეგიონისთვის სასიხარულო ინფორმაციაა. დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს ქართველი მასწავლებლის სახელსა და გვარსაც ამოვიკითხავთ ამ სიაში. თავისთავად, იქ მოხვედრა, ერთი მხრივ, პოპულარიზაციას უწევს ქვეყანას, მსოფლიო მასშტაბით, მეორე მხრივ კი, ძალიან მნიშვნელოვანი სტიმული ხდება იმ ქვეყანაში მასწავლებლების კოჰორტისთვის, არა მხოლოდ მოქმედი მასწავლებლისთვის, არამედ ახალგაზრდებისთვისაც. ჩვენი მიზანია, დავანახოთ მათ, რომ მასწავლებლობა ძალიან მნიშვნელოვანი, საინტერესო და დაფასებული პროფესიაა და ამ პროფესიაშიც შეიძლება მაღალი შედეგების მიღწევა და საზოგადოებისთვის, ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი საქმიანობების წარმოება.

– წელს რაზე გაკეთდა მთავარი აქცენტები?

– წელს მთავარი მესიჯებიდან უმნიშვნელოვანესი იყო მსოფლიოში მშვიდობაზე საუბარი, რადგან მსოფლიოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სწორედ ტერორიზმის საფრთხეა. ასევე, ერთ-ერთი მთავარი თემა იყო გლობალური მოქალაქეობა – როგორ გავზარდოთ ადამიანები არა ერთი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს მოქალაქეებად. სამყაროს ჰარმონიული განვითარების ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი სწორედ განათლებაა. ფორუმზე ამგვარი მოწოდება იყო – გაიზარდოს განათლების მხარდაჭერა და დაფინანსება, რადგან სწორედ განათლებაა ჩვენი უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტი. მულტიკულტურალიზმი, ტოლერანტობა, სიკეთე, სოლიდარობა, ჰარმონიული თანაცხოვრება და ა.შ. – მნიშვნელოვანია ამ ღირებულებებითი განათლების აქტუალიზაცია, მაგალითად, სამოქალაქო განათლების, რადგან განათლების ღირებულება მარტო საგნობრივი ცოდნის გადაცემა არ არის.

მეორე მთავარი აქცენტი ტექნიკური ხასიათის გახლდათ. ტექნოლოგიური პროცესი იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ აუცილებელია ამ საკითხის გათვალისწინება განათლების პოლიტიკის პროცესში და ტექნოლოგიების კიდევ უფრო აქტიურად შემოტანა საგანმანათლებლო სივრცეში. ქვეყნებში, რომლებიც ამ მხრივ კიდევ უფრო დაწინაურებული არიან, გაცილებით სწრაფად და აქსელირებულად ვითარდება განათლების სისტემა და მთლიანად საზოგადოება. შესაბამისად, უფრო მეტად იზრდება განსხვავებაც ჩამორჩენილ და წინწასულ ქვეყნებს შორის. საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წუხილი სწორედ ეს იყო – ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც შეიძლება არათანაბრად იყოს ხელმისაწვდომი სხვადასხვა ქვეყნისთვის. გაისმა მოწოდება, ვისაც სურს დაწინაურდეს განათლების მიმართულებით, მეტი ყურადღება მიაქციოს ტექნოლოგიების დანერგვას, დიგიტალიზაციის საკითხებს განათლების სფეროში. კარგად დამამახსოვრდა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ჟურნალისტის ფრაზა: *„მომავალი ეკუთვნით ტექნოლოგიის ადამიანებს და ჩვენ უნდა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს ციფრული მოქალაქეობა, ვასწავლოთ როგორ დაამყარონ კომუნიკაცია ინტერნეტით სხვა ადამიანებთან.“* ეს პროცესი შეუქცევადია. მსოფლიო მასშტაბით, ახალი ცოდნის დაგროვება იმდენად სწრაფად მიმდინარეობს, რომ რთული ხდება, ასწავლო ყველაფერი. გაცილებით მეტი აქცენტი გავაკეთოთ სწავლის სწავლებაზე. შევადგინოთ არა სხვადასხვა თეორიული ცოდნით გადავსებული კურიკულუმები, არამედ ისეთი, რომლებიც ბავშვებს გამოუმუშავებს კრიტიკული აზროვნების და სწავლა-სწავლების უნარებს, რათა ინფორმაციის მიღება დამოუკიდებლად შეძლონ და, საუკეთესო შემთხვევაში – ახლის შექმნა.

– რა იყო OECD განათლების დირექტორის, ბატონი ანდრეას შლაიხერის მთავარი მესიჯები, მოწოდებები?

– განათლების გლობალურ ფორუმზე ბატონმა ანდრეამ ისაუბრა იმაზე, თუ რა მიმართულებით უნდა გარდაიქმნას განათლების სისტემა. რამდენიმე საკითხს გამოვყოფდი: 1. კვლევები აჩვენებს, რომ ოჯახის სოციალური მდგომარეობა არ არის გადამწყვეტი და გადაულახავი ფაქტორი. მეტ ინკლუზიას და სკოლაში სწორად ორგანიზებულ პროცესს მოაქვს თანაბარი შედეგი ყველა ბავშვისთვის, შეაბამისად, სასკოლო რეფორმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა; 2. მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს შემოქმედებით კომპეტენციებზე, სწავლების პროცესში შემოქმედებით მიდგომებზე (ხელოვნება, სპორტი, თამაში და სხვ.), სხვადასხვა ინტელექტის გამოყენება მეტ ეფექტს გვაძლევს; 3. ზედმეტი სტანდარტების ნაცვლად, გვჭირდება პროფესიონალი და მცოდნე ხალხი; 4. აუცილებელია მეტი თანამშრომლობა სკოლაში მასწავლებლებს შორის. მასწავლებლების მეტი ჩართულობა პროფესიულ განვითარებაში. ურთიერთდახმარების მექანიზმებისა და კულტურის ნახალისება; 5. ძალზე მნიშვნელოვანია განვითარდეს სკოლების მეტი ანგარიშვალდებულება თემთან, საზოგადოებასთან ნაცვლად სახელისუფლო თუ მარეგულირებელ ორგანოებთან მიმართებაში. სწორედ ასეთი იყო მისი მესიჯები.

ანდრეას შლაიხერის გამოსვლაში ერთ-ერთი საინტერესო აქცენტი მასწავლებელთა პროფსიონალიზმს შეეხო. იგი ამბობს, რომ გადამწყვეტია არა არასტანდარტული კურიკულუმი, არამედ კარგი პროფესიონალი, რომელსაც შეუძლია მორგებულად, მოქნილად, ადაპტირებულად უზრუნველყოს ბავშვების შედეგებზე გაყვანა. ამიტომაც მოგვიწოდებს, რომ ამ პროფესიის განვითარებაში და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ზრდაში მეტი მონაწილეობა მივიღოთ და მეტი ენერგია ჩავდოთ. ბატონი ანდრეასი აქცენტს იმაზეც აკეთებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მასწავლებლები უფრო მეტად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, გაცილებით მეტი ურთიერთდახმარების ქმედითი მექანიზმი აქვთ, იქ პროფესიული განვითარებაც უფრო წარმატებულია.

დღეს, როცა საქართველოში საუბარი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დეცენტრალიზაციაზე დაიწყო, ვფიქრობ, ეს რეკომენდაცია ძალიან კარგად ეხმიანება ამ პროცესებს და კიდევ უფრო გვიმტკიცებს რწმენას, რომ ეს სწორი გზაა, რაც არ უნდა რისკებსა და საფრთხეებს ხედავდნენ ამაში გარკვეული ადამიანები. მართლაც, ერთადერთი სწორი გზა პროფესიულ განვითარებაში თვითონ მასწავლებლების ჩართვა და საგნობრივი ასოციაციების გაძლიერებაა. მათ შეუძლიათ ისეთი საინტერესო მექანიზმების შექმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის, რაც ცენტრალიზებული მიდგომით, შეუძლებელია. ამ კონტექსტში გამოვეხმაურებოდი ტენდენციას, რომ სასურველია სკოლების მართვის დეცენტრალიზაცია, რადგან დამოუკიდებელი სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის უფრო მეტ ინიციატივებსა და სტიმულებს შექმნის. დამოუკიდებელი სკოლა, რომელიც შედეგებითა და მიღწევებით ფასდება, გამუდმებით იზრუნებს, რომ საუკეთესო ხარისხის პედაგოგთა კორპუსი ჰყავდეს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყველა დაწყებული სწორი ინიციატივა გაგრძელდება და კარგ შედეგებამდე მივალთ. კოალიცია ყველაფერს გააკეთებს ამისთვის, პირველ რიგში, ვიმუშავებთ ასოციაციებთან, რომ ისინი ინსტიტუციურად გაძლიერდნენ. მზად ვართ წარმოვადგინოთ კონკრეტული რეკომენდაციები და ცვლილებათა გეგმები.

აქვე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ მიერ ინიცირებული ეროვნული ჯილდოც ამ მცდელობების ერთ-ერთი ნაწილია

ესაუბრა ლალი ჯელაძე

გამოცდილება

თვითშეფასების ჩამოყალიბება ადრეულ სასკოლო ასაკში

სკოლაში სწავლის პირველი წელი რთული და გარდამავალი პერიოდია ბავშვის ცხოვრებაში. იზრდება ფსიქო-ემოციური დატვირთვა. მან უნდა დაამყაროს კონტაქტი თანატოლებსა და პედაგოგებთან, ისწავლოს სასკოლო დისციპლინის მოთხოვნების შესრულება, განახორციელოს სასკოლო საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი ვალდებულებები. გამოცდილება კი აჩვენებს, რომ ყველა ბავშვი ამისათვის მზად არ არის. ისინი შეიძლება უჩიოდნენ დაღლას, ტკივილს, ძილს, მადის დარღვევას. ასევე ვაწყდებით ფსიქოლოგიური ხასიათის სირთულეებსაც, რასაც ფსიქოლოგები „ადაპტაციურ ავადმყოფობას“ უწოდებენ.

თავად ტერმინი „ადაპტაცია“ ნიშნავს გარემოსადმი შეგუებას. სკოლისადმი წარმატებული ადაპტაცია დამოკიდებულია ბავშვის ადეკვატურ შეფასებაზე. ის ქმნის წარმოდგენას საკუთარ თავზე, რის საფუძველზეც თანდათანობით იქმნება მისი თვითშეფასება. ეს პროცესი ოჯახიდან იწყება და გრძელდება ადრეულ სასკოლო ასაკშიც. თუ თვითშეფასება ადეკვატურია, იოლია სკოლისადმი ადაპტაციის პროცესი. მაგრამ მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ როგორც დაბალი, ისე მაღალი თვითშეფასება ართულებს ადაპტაციას, რომ მოსწავლისათვის რთულია გაუმკლავდეს ყველა ამოცანას. მის დასახმარებლად კი ყურადღება, სიყვარული და მოთმინებაა საჭირო.

კვალიფიციურმა მასწავლებელმა უნდა იზრუნოს, რათა ყველა მოსწავლემ მიიღოს თავისი წილი ყურადღება, მიუხედავად ნებისმიერი განსხვავებისა. ასეთი მიდგომა მარტივი არ არის. ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის მასწავლებელი ზედმიწევნით კარგად უნდა იცნობდეს თითოეულ მოსწავლეს, იცოდეს მისი საჭიროებები და ინტერესები. მან უნდა დაარწმუნოს ის საკუთარ შესაძლებლობებში. მიეხმაროს, რათა ბავშვმა პრობლემის იმგვარად გადაჭრა შეძლოს, რომ შენარჩუნდეს ყველას ღირსება.

აუცილებელია, ხელი შეეწყოს ნებისმიერი ბავშვის მხრიდან ყოველგვარი ინიციატივის გამოვლენას; მასწავლებელი იდგეს მის გვერდით, წააქეზოს, შეაქოს; თუ პასუხის სისწორეში არაა დარწმუნებული, სთხოვოს მოსწავლეს, პასუხი ყურში უჩურჩულოს, რათა არ მოხდეს შეცდომის დემონსტრირება.

ინდივიდუალური მიდგომებისათვის შეიძლება მუშაობის სხვადასხვა სახის გამოყენება როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილებსა და ჯგუფებში.

საუბრისას მასწავლებელმა უნდა უბიძგოს (პროვოცირება გაუკეთოს) ბავშვს, გადაწყვიტოს პრობლემა, მოიყვანოს არგუმენტები მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა ბავშვს კლასში უსაფრთხო გარემო შეუქმნას (თითოეულ მათგანში ჩასახოს რწმენა, რომ ის უყვართ, მასაც შეუძლია წვლილი შეიტანოს საკლასო საზოგადოებაში, რომ შეუძლია გასცეს დახმარება და მიიღოს, აქვს უფლება დაუშვას და გამოასწოროს შეცდომა), ეფექტური იქნება, თუ სკოლაში მოსვლამდე მასწავლებელი მომავალ მოსწავლეს წერილს გაუგზავნის. დაარწმუნებს, რომ მასზე ბევრი სმენია. მოუთმენლად ელის, იმედი აქვს კარგად გაუგებენ ერთმანეთს და ითანამშრომლებენ. სკოლაში მოსულს კი დაანახვებს, რომ რთული არ იქნება საშინაო დავალებების მომზადება, ძალიან მცირე დროის დახარჯვა მოუწევს სახლში ამისათვის. სასურველია, დიაგრამის საშუალებით დაანახოს ბავშვს დახარჯულ დროთა თანაფარდობა.

მასწავლებელმა ბავშვში თვითპრეზენტაციის უნარის განვითარებისათვის უნდა გამოყოს დრო, როცა მოსწავლეები ისაუბრებენ თავის თავზე, დააფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს; პრობლემურ ბავშვს დაანახოს, რომ მისი ცხოვრება საინტერესოა სხვებისთვის; ბავშვში დაინახოს (თუნდაც ერთი) დადებითი მხარე და დაეყრდნოს მას, შეაქოს ისეთ სიტუაციაში, როცა იგი ამას იმსახურებს, რათა შექება სინამდვილედ აღიქვას და დროთა განმავლობაში ის ამ მახასიათებლის შესაბამისად მოიქცეს.

ბავშვის ცნობიერებაში ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებისათვის მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს ურთიერთობის სამ სახეს: პასიურ, აგრესიულ და ასერტიულს.

პასიური – არ ავლენს საკუთარ გრძნობებს. სურვილს მშობლის დახმარებით გამოხატავს. საუბრობს გაუბედავად და ეძებს დასაყრდენს.

აგრესიული – საკუთარ საჭიროებებს და გრძნობებს გამოხატავს სხვისი უფლებების ხარჯზე. სიტუაციას აღწერს ისე, რომ თვითონ მართალი გამოჩნდეს. ზედმეტადაა დარწმუნებული საკუთარ თავში.

ასერტიული – საჭიროებებს და გრძნობებს გამოხატავს პირდაპირ, მაგრამ ანგარიშს უწევს სხვასაც. უსმენს და იძლევა უკუკავშირს. არის ემპათიური.

მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს, რომ ასერტიულობა თვითგახსნის ფორმას წარმოადგენს, ხელს უწყობს ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას, ამარტივებს ადამიანებთან კომუნიკაციას. ამიტომ სწორედ ასერტიულობაზე უნდა გააკეთოს აქცენტი, ვინაიდან მოსაზრებები თანამშრომლობაზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე შეჯიბრებაზე. თანამშრომლობისას ორივე მხარე აღიარებს ერთმანეთის ინტერესებს.

მაგალითი: „როცა თქვენ სისუფთავეს არ დაიცავთ, შესაძლებელია, თქვენს ორგანიზმში ბაქტერიები მოხვდეს და მეშინია, არ დაავადდეთ“.

შენიშვნის ასეთი ფორმა (ქცევა-ეფექტი-გრძნობა) აცნობებს მოსწავლეს, რომ პრობლემა ჩნდება მოსალოდნელი ეფექტის და არა მისი ქცევის გამო. ამ შემთხვევაში, მოსწავლე გარკვეულწილად დაცულია მასწავლებლის მიერ. ბავშვს საშუალება ეძლევა, არ გააქტიუროს საკუთარი თავდაცვის საშუალებები და არ გამოავლინოს აგრესია.

მოსწავლეთა პოზიტიური თვითშეფასების ამაღლების, „მე კონცეფციის“ ფორმირების, ურთიერთპატივისცემის გაღვივების, თანამშრომლობის უნარების განვითარებისთვის ეფექტურია, ხშირად დავავალოთ ისეთი ფრაზების წარმოთქმა, რომლებიც თანატოლებს გულს გაუთბობს (მე შენთვის სიურპრიზი მაქვს... როგორ მიხაროდა სკოლაში მოსვლა... მზეც ჩვენს მხიარულებას უერთდება!). მოსწონთ აგრეთვე ლექსის წყვილებში გამოკითხვა. თუმცა, შედეგის დაფიქსირებისას, გულახდილად საუბრობენ მხოლოდ საკუთარ თავზე და არა მეგობარზე. პრობლემის გადაჭრისათვის ძალიან კარგად მუშაობს შემდეგი აქტივობები:

აქტ. 1. „მიცნოგდეთ“

თითოეულ ბავშვს აქვს დიდი ზომის ქაღალდი, რომელზედაც ხატავს საკუთარ თავს, საყვარელ საჭმელს, საყვარელ ცხოველს, ფრინველს... და პოსტერის მეშვეობით კლასს აცნობს საკუთარ თავს.

აქტ. 2. „მე ვარ...“

ბავშვი ფურცელზე წერს საკუთარ დახასიათებას: ვინ (ბიჭი, გოგო) არის და სახლში ვინ ჰყავს, რა უყვარს... საკუთარ ვინაობას არ ამხელს. მასწავლებელი კი ერთმანეთში ურევს და რიგრიგობით კითხულობს. ბარათის კითხვის დასრულების შემდეგ ამოიცნობენ, ვისი დახასიათება იყო.

აქტ. 3. „ყველა ადამიანია“

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს დახატონ ადამიანი. ნამუშევრები მაგრდება დაფაზე და ხდება მათი შედარება. ნამუშევრები ერთმანეთისგან განსხვავდება და აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ნახატებზე ყველა ადამიანია, ყველა სხვადასხვანაირია (თუნდაც კანის ფერით) და საზოგადოებამ უნდა მიიღოს ყოველი მათგანი ისეთი, როგორიც არის.

აქტ. 4. „ჩემი ტყუპისცალი“

მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, რომ თითოეულს ჰყავს ტყუპისცალი. ის გარეგნულად ისე ჰგავს, ძნელია მათი ერთმანეთისგან გარჩევა. როგორ მიახვედრებთ მეგობარს, რომ ეს თქვენ ხართ (შეიძლება გამოიყენონ საყვარელი ფრაზა, რაიმე უნარი, ვინმეს ან რამის განსაკუთრებული სიყვარული...)

აქტ. 5. „მე მწერალი ვარ“

მოსწავლეები სხედან წრეში. მასწავლებელი სთავაზობს, ყველა იყოს მწერალი, მიიღოს მონაწილეობა მოთხრობის შექმნაში. აწვდის ერთ წინადადებას, ან სულაც – ფრაზას და ეუბნება, მას სათითაოდ დაამატონ თითო ფრაზა ისე, რომ ამბავი სიუჟეტურად განვითარდეს და ბოლოს დასრულდეს.

აქტ. 6. „მე მომწონს, რომ შენ...“

მოსწავლეები სხედან წრეში. აქტივობას იწყებს მითითებული ბავშვი. ის ასახელებს თავის გვერდში მჯდომის პოზიტიურ თვისებას. თამაში გრძელდება ბოლო მოსწავლემდე. ეს აქტივობა ძალიან კარგად მუშაობს თვითშეფასების ამაღლებაში, როცა აცნობიერებენ, რამდენი რამაა მათში მოსაწონი.

აქტივობები მასწავლებელს შეუძლია ცვალოს საკუთარი ინტერპრეტაციით ინდივიდუალური საჭიროებების თუ სიტუაციის შესაბამისად. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა ახსოვდეს მას – აქტივობის არსი წინასწარ გასაგებად ახსნას.

უამრავი აქტივობის შემოტანა შეიძლება.

მასწავლებელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს, რომ სკოლაში მოსულ ბავშვს აგრძნობინოს სითბო და სიყვარული; არ გაუკეთოს იგნორირება მის ჩივილებს (თავის, მუცლის ტკივილი, ცუდ გუნებაზე ყოფნა); შეაქოს ხშირად, მაგრამ არა – დაუმსახურებლად; არ შეადაროს სხვას და არ გამორჩეს მისი შრომის შედეგის გაუმჯობესების ერთი შემთხვევაც კი; აგრძნობინოს, რომ ის უყვარს და ხელს უწყობს მისი ნებისმიერი ინიციატივის გამოვლენას.

მასწავლებელმა სისტემატურად უნდა ეძიოს შემოქმედებითი მიდგომები. იზრუნოს, შეისწავლოს ახალი და ახალი ალტერნატივები.

ნანული ბორაშვილი
სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის დ/კლასების მასწავლებელი

ინფორმაცია

„ჰაკათონი“ – ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური იდეების რეალიზება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებით, ორდღიანი „ჰაკათონი“ დაიწყო, რომელშიც ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური იდეის პროტოტიპების შექმნის მიზნით, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტური ჯგუფები მონაწილეობენ.

შეჯიბრი გახსნა და მონაწილეებს წარმატება უსურვა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ**: *„ჰაკათონის“ ფორმატი პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ბევრი ბიზნესი მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, უკვე ამ პლატფორმიდან წამოვიდა. ეს ერთდღიანი, ორდღიანი და რამდენიმეკვირიანი შეჯიბრი, რომელსაც ახლა ვატარებთ, მისცემს ამ ადამიანებს საშუალებას, რომ საკუთარ იდეებს მისცენ გასაქანი. ძალიან კარგია, რომ მათ მენტორები ჰყავთ, რომლებიც ბიზნესიდეების ჩამოყალიბებაში დაეხმარებიან. პროფესიული განათლება, რომელზეც ახლა მიმდინარეობს მიღება, არის უკეთესი გზა დასაქმებისკენ, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ის ბიზნესის შექმნისთვისაც უმოკლეს გზად ვაქციოთ. გვჯერა, რომ პროფესიული განათლების მიღება, ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა ჩვენს ახალგაზრდებს და ნებისმიერი ასაკის ადამიანს საშუალებას მისცემს, რომ თავისი ბიზნესი, გნებავთ მაღალტექნოლოგიური, გნებავთ არამაღალტექნოლოგიური წამოიწყოს და მიაღწიოს წარმატებას“.*

„ჰაკათონი“ ტექნოლოგიებით დაინტერესებული ადამიანების შეჯიბრი და კარგი იდეების რეალიზების, თვითგამოხატვის, ჯანსაღი კონკურენციისა და ინოვაციური პროექტების შექმნის საშუალებაა.

1-2 აპრილს ორგანიზებული „ჰაკათონი“ ორ საფეხურს მოიცავს: სტუდენტები მუშაობენ იდეების გენერირებაზე (კრეათონი), საუკეთესო იდეის მქონე გუნდი გადადის მეორე ეტაპზე, სადაც, იქმნება იდეის პროტოტიპი ფაბლაბების გამოყენებით. 23 აპრილს იდენტიფიცირდება საუკეთესო ჯგუფი. პროექტის ფარგლებში მონაწილე გუნდები წარმოაჩენენ საკუთარ სასწავლებლებს და ეცდებიან, მოიპოვონ საპრიზო ადგილები და ფულადი ჯილდოები, რომელსაც კერძო კომპანიები დააწესებენ.

ელგუჯა მაღრაძე, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი: *„ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილები იქმნება, რომლებიც აღჭურვილია ახალი ტექნოლოგიური ბაზებით და მნიშვნელოვანია, რომ დამსაქმებელს მისი შესაბამისი კადრი ჰყავდეს. ჩვენი ორგანიზაცია ყოველთვის ცდილობს, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების დასაქმებას და მათ წარმატებას“.*

„ჰაკათონის“ ოფიციალური გახსნის შემდეგ, დაიწყო სამუშაო პროცესი, სადაც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენლებმა, მენტორებმა მონაწილე პროფესიულ სტუდენტებს გააცნეს კონკურსის პირობები, ჩაუტარეს ტრენინგები და დახმარება გაუწიეს იდეების გენერირებაში. *„ჩვენ დავეხმარებით მათ, შექმნან საკუთარი ბიზნესი და აწარმოონ ინოვაციური პროდუქტი. უზრუნველვყოფთ სხვადასხვა სახის დაფინანსებით, ასევე მხარდაჭერას მიიღებენ ვორკშოპებისა და კონსულტაციების სახითაც.“* – განაცხადა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელმძღვანელმა **ავთანდილ კასრაძემ**.

მეორე ტურში გადასული გუნდები სამი კვირის განმავლობაში იმუშავებენ იდეის განხორციელებაზე და 23 აპრილის, დასკვნით ღონისძიებაზე, წარმოადგენენ იდეის პროტოტიპს, რომლის ფარგლებშიც, ჟიური გამოავლენს გამარჯვებულ გუნდს.

გამოცდილება

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება აღზრდის სამსახურში

„გავაუმჯობესოთ ადამიანის ბუნება და ამით ყველაფერი გაუმჯობესდება“ – ფრაზიდან, რომელიც ეკუთვნის ცნობილ მეცნიერსა და ფსიქოლოგს, ა. მასლოუს, გამომდინარეობს კითხვა – როგორ გავაკეთოთ ეს, როგორ, რა გზებითა და საშუალებებით შევცვალოთ მოსწავლეთა ზნე-ხასიათი? თანამედროვე პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის წარმომადგენლები, ტრადიციულისაგან განსხვავებით, აქცენტს აკეთებენ არა მხოლოდ მოსწავლის ინტელექტუალურ განვითარებაზე, არამედ მოსწავლეს აღიქვამენ მთელი სისავსით და სასწავლო პროცესის ცენტრში აყენებენ მის ყველა პიროვნულ კომპონენტს (ჩართულობა, საზრისი, თვითინიციატივა, აღმოჩენის, მიღწევის, თვითაღმოჩენის უნარი). ამ თეორიის თანახმად, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ყველა ძაფი მასწავლებლის ხელშია. რა თქმა უნდა, დიდი ბედნიერებაა, როცა შენი მონდომებითა და ძალისხმევით ზემოქმედებ არა მხოლოდ მოზარდის ინტელექტზე, არამედ ცვლი მის დამოკიდებულებებს, ურთიერთობის სტილს, უნერგავ სასურველ ღირებულებებს! თუმცა პრაქტიკულად ეს ძალზე ძნელი გასატარებელია (მოზარდს მარტო მასწავლებელი ვერ აქცევს პიროვნებად, რადგან მეცნიერთა შეხედულებით, „ადამიანის აღზრდა მრავალწახნაგიანი და მრავალფაქტორიანია“ და, ბუნებრივია, სკოლის წინაშე ხშირად ჩნდება სხვადასხვა ხასიათის სირთულე. მაგ. პედაგოგიური მართვის თვალსაზრისით რთული კლასები (მათზე ხშირად ჩივიან როგორც პრაქტიკოსი, ისე სერტიფიცირებული პედაგოგები).

მე-7 კლასი, რომელშიც უკვე მეორე წელია ვასწავლი ქართულ ენას და ლიტერატურას, სკოლაში ე. წ. „ცხელ წერტილად“ ითვლება. ამ კლასის მოსწავლეები რამდენადაც გამორჩეულნი არიან სწავლის კარგი უნარით, იმდენად ცნობილნი არიან თავიანთი ჰიპერაქტიული საქციელით (არიან ხმაურიანები, ახასიათებთ აგრესიული ქცევები, შფოთვები, არა აქვთ წესრიგის დაცვის მოთხოვნილება). კლასში შესვლის დღიდან, საკუთარი პრაქტიკის მაგალითზე მსურდა მეპასუხა ზემოთ დასმულ კითხვისათვის და საგაკვეთილო პროცესი წარმემართა მოსწავლეთა ზნეობრივი თავისებურებების და საჭიროებების გათვალისწინებით.

მიზნად დავისახე მოსწავლეების აგრესიული დამოკიდებულებების შეცვლა. სიტუაციის შესაცვლელად დავეყრდენი მათთვის დამახასიათებელ თავისებურებებს – სწრაფვას დიდობისა და პოპულარობისაკენ, პრესტიჟისა და აღიარების მოთხოვნილებებს, რადგან ხშირად მოზარდები უხეშობით, წესრიგის დარღვევით ცდილობენ თავის დამკვიდრებას, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენას. საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართულობის ასამაღლებლად საგანგებოდ შევარჩიე ისეთი თემები, მხატვრული ნაწარმოებები, რომლებსაც საინტერესო, ზნეობრივად გამოკვეთილი იდეა და მოსწავლეებში ძლიერი ემოციური გამოძახილის გამოწვევის შესაძლებლობა აქვთ, აქცენტი გავაკეთე ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა: თანაგრძნობა, შებრალება, პატიება, მიმტევებლობა, კომპრომისზე წასვლა, სამართლიანობა, ემპათია, პატრიოტიზმი და სხვ.

პროექტული სწავლება

დავიწყე პროექტული სწავლების მეთოდით. შევეცადე კლასში შემექმნა არარუტინული, სახალისო სიტუაცია, მოსწავლეები ჩამეყენებინა აქტიური შემმეცნებლის როლში და მესწავლებინა მათთვის ზნეობრივ პრობლემებთან გამკლავება. კლასში დევიზად ვაქციე გურამ დოჩანაშვილის შესანიშნავი ფრაზა: „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი“. სწორედ ამიტომ მოსწავლეებს დამატებით საკითხავ მასალად შევთავაზე გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“ და დავავალე, 3 კვირის ვადაში ემუშავათ პროექტზე „ რატომ მომწონს გ. ლეონიძის „ნატვრის ხე“. პროექტის საორგანიზაციო ეტაპზე შევარჩიეთ მოთხრობები („ნატვრის ხე“, „ორი შემოხედვა“, „ღვინჯუა“, „ჩორეხი“, „მარიტა“). მოსწავლეები დავყავი ჯგუფებად, მათ შევთავაზე მართული კითხვის სხვადასხვა სტრატეგიები (პაუზებიანი კითხვა, კითხვა ხმამაღალი ფიქრით, ბუნდოვანი მონაკვეთების ხელახალი გადაკითხვა, საინტერესო ადგილების მონიშვნა, ჩანაწერების გაკეთება და სხვ.). იმისათვის, რომ მოსწავლეებისათვის გამეადვილებინა ტექსტის აღქმა, პერსონაჟების დახასიათება, მთავარი იდეისა და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება, გამოვიყენეთ ვიზუალური სქემები-გრაფიკული ორგანიზატორები („იდეების უჯრები“, „მოთხრობის რუკა“, „დაამყარე კავშირი“, „პარალელები“, „პერსონაჟის ასოციაციური რუკა“, „ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება“ და სხვ.), მოსწავლეებს განვუმარტეთ სქემების დანიშნულება და შევსების პროცედურა, ვასწავლე მათი გამოყენება ინდივიდუალურად და ჯგუფურად.

მომდევნო ეტაპზე მოსწავლეები დავყავი ჯგუფებად, დავავალე წერილობით გადმოეცათ თავიანთი შთაბეჭდილებები, ემსჯელათ, რა მოეწონათ, რა განიცადეს, რომელ ღირებულებებს იზიარებდნენ, რა არ მოეწონათ, რომელ მანკიერებას არ ისურვებდნენ ამ რეალობაში. მონიტორინგს ვუწევდი ამ კუთხით მოსწავლეთა საქმიანობას, ვაწყობდი ჯგუფებთან სამუშაო შეხვედრებს, ვკითხულობდი და მოსწავლეებთან ერთად ვასწორებდი მათ მიერ შექმნილ ტექსტებს, რათა ხელმეორედ ჩაესწორებინათ ან ახალი ვარიანტი მოეფიქრებინათ (ამ აქტივობას ყველაზე დიდი დრო მოვანდომე).

განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებდი მოთხრობებში არსებულ ზნეობრივ პრობლემატიკაზე, ზნეობრივ მოვლენებში ღრმად გარკვევის მიზნით სადისკუსიოდ ვაქციე თემები: სიღარიბე და ადამიანები (ელიოზის შეხედულებებისა და მოქმედებების შეფასება), „ვინ არის დამნაშავე მარიტას სიკვდილში“ (ბრბოს ფსიქოლოგიის ანალიზი), „რატომ არ ჰყავდა ნამდვილი ჭირისუფალი ჩორეხს“ (გარდაცვლილი ჩორეხისადმი მეუღლისა და თანასოფლელების მომხმარებლური დამოკიდებულების ანალიზი, „ადამიანი და მოვალეობა“ (ღვინჯუას ხასიათის შეფასება).

დასკვნითი ეტეპისთვის მოსწავლეებს მივეცი სათანადო რჩევები და რეკომენდაციები, თუ როგორ მოემზადებინათ ჯგუფური პრეზენტაცია თემაზე „რატომ უნდა წავიკითხოთ გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“, როგორ გაემდიდრებინათ გუნდური ნაშრომი კომპიუტერული რესურსით, ნახატებითა და ილუსტრაციებით. მოსწავლეებს ვუჩვენე თენგიზ აბულაძის ფილმი „ნატვრის ხე“ და ვთხოვე, შეედარებინათ წაკითხული ნაწარმოები ფილმისათვის, ემსჯელათ, რომელი ეპიზოდი მოხვდა ფილმში და რომელი არა, დაკვირვებოდნენ ფილმის მხატვრულ სახეებს, ფერებს, ხმებსა და სპეციფიკურ ეფექტებს.

სასწავლო პრობლემების გადაჭრა სეგმენტური მეთოდით

მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებაში ეფექტური აღმოჩნდა სეგმენტური მეთოდით ჩატარებული გაკვეთილები ზნეობრივი პრობლემების გადასაჭრელად (ამ მიდგომით ჩავატარეთ გაკვეთილები შემდეგ თემებზე: ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფელი“ და რევაზ ინანიშვილის „ჩიტების გამომზამთრებელი“). პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილების მთავარ მიზნად დავისახე: მოსწავლეთა ჩართულობით პრობლემის იდენტიფიცირება, პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა და პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების დასახვა.

ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფლის“ პრობლემის განსაზღვრის მიზნით, გამოწვევის ფაზაზე, მოსწავლეებს შევთავაზე თვალსაჩინო მასალა, ვუჩვენე ვიდეორგოლი, რომელშიც მოხუცებული ადამიანების მიმართ ახალი თაობის ორ, განსხვავებულ დამოკიდებულებას ასახავდა და მოსწავლეთა ჯგუფებს დავავალე მხატვრული ტექსტის დოკუმენტურ მასალასთან შედარება საერთო და განმასხვავებელი პრობლემების განსაზღვრა და შესაბამისი სქემების შევსება. ჯგუფური დისკუსიის შედეგად მოსწავლეებმა ჩამოაყალიბეს პრობლემა: „თანამედროვე საქართველოში მოხუცები სათანადოდ ვერ ფასდებიან“.

გაკვეთილზე შევქმენი პლურალისტული გარემო, გამოვიყენე ჯგუფური მუშაობის სტრატეგია და მოსწავლეებს შევთავაზე პრობლემის გადაჭრის მათეული ხედვის ჩამოყალიბება – სლოგანის, ნახატის, ფლაერის ან ჩანახატის შექმნა.

ტექსტში დასმული პრობლემა – თანამედროვე საქართველოში მიუსაფარ მოხუცთა ბედი იძლეოდა მრავალმხრივი შეფასებისა და შეხედულებათა გამოთქმის საშუალებას, რაც ძალიან ეფექტურად განხორციელდა ჯგუფური სამუშაოს პრეზენტაციისას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეშვიდეკლასელები არიან, შეძლეს პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბება. პრეზენტაციის დროს ერთ-ერთი მოსწავლე გამოვიდა ინიციატივით – საშობაო არდადეგებზე ახალი წელი მიელოცათ თბილისის სათნოების სახლის „კათარსიზი“ მოხუცებისთვის, რაც მათ დამრიგებლისა და მშობლების მხარდაჭერით საინტერესო ფორმით განახორციელეს.

ერთ-ერთ სტრატეგიად გამოვიყენე მოსწავლეების ჩაყენება ავტორის პოზიციაში. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ვამუშავე რ. ინანიშვილის „ჩიტების გამომზამთრებელზე“ და ვამსჯელე მოთხრობის მთავარ პრობლემაზე – მშობლების აგრესიულ დამოკიდებულებაზე შვილების მიმართ, ბავშვებს შევთავაზე შეეცვალათ მოთხრობის ფინალი. იმისათვის, რომ იმპულსი მიმეცა მოსწავლეთა თავისუფალი აზროვნების განვითარებისთვის, მოსწავლეებს მორიგ აქტივობად შევთავაზე „სეგმენტური მეთოდით“ ინდივიდუალურად დაეწერათ მოთხრობის სახეცვლილი ფინალი, ხოლო შემდეგ, სამუშაო ჯგუფებში შეეჯამებინათ საერთო პოზიცია და გაეკეთებინათ პრეზენტაცია. დისკუსიამ წარმატებით ჩაიარა, შევქმენი ისეთი სასწავლო გარემო, სადაც თავისუფალი აზროვნება, ემოციების გამოხატვა იყო პრიორიტეტული, ერთმანეთის დახმარებით ცდილობდნენ, შეექმნათ მოთხრობის სახეცვლილი ფინალი, ცვლიდნენ შეხედულებებს, თანხმდებოდნენ ჯგუფურ ვერსიაზე, პატივს სცემდნენ განსხვავებულ თვალსაზრისსაც (კლასში გამოიკვეთა 2 მოსწავლე, რომლებიც ჯგუფისაგან განსხვავებულ პოზიციაზე დარჩნენ). მოსწავლეები მსჯელობდნენ თავისუფლად და არგუმენტების მოშველიებით. მათი ჩართულობის ხარისხი იყო ძალიან მაღალი. პრაქტიკულად არც ერთი მოსწავლე არ დარჩენილა სამუშაო პროცესის გარეთ.

ტექსტში დასმული პრობლემა – მშობლების ურთიერთობა შვილთან – იძლეოდა მრავალმხრივი შეფასებისა და შეხედულებათა გამოთქმის საშუალებას, რაც ძალიან ეფექტურად განხორციელდა პრეზენტაციისას. საყურადღებო იყო მათ მიერ მოფიქრებული ახალი ფინალის ვერსიები:

„მამას შეებრალა დაჩაგრული ბიჭი, თეფში განზე გადგა, დათრგუნულ ბიჭთან მივიდა და მამაკაცურად დაელაპარაკა, შემდეგ ბაზარში ახალი ჩიტბატონები უყიდა“...

„...დედამ ვერ მოახერხა ჩიტბატონების დახოცვა, ბიჭმა ფრთამოტეხილები ხელში აიყვანა და უმკურნალა“...

„მამამ გამხეცებული დედა შეაჩერა, შემდეგ დაღონებულ ბიჭს დაუძახა და პირობა წაუყენა, თუ კარგად ისწავლიდა, ახალ ჩიტბატონებს უყიდიდნენ“...

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საჭიროდ მივიჩნიეთ მცირე კორექტივი შეგვეტანა გაკვეთილის გეგმაში, რათა ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო ერთ-ერთი მოსწავლე-პრეზენტატორი, რომელიც ამართლებდა მშობლების აგრესიას შვილის მიმართ მხოლოდ სწავლის გაუმჯობესების მოტივით. სიტუაციიდან გამომდინარე ჩავატარეთ მცირე დისკუსია, რომლის დროსაც მოსწავლეებმა არგუმენტების მოშველიებით დაასკვნეს, რომ მშობლების და შვილების ურთიერთობაში დასაგმობია ძალადობრივი მეთოდები და პრიორიტეტულად დასახეს ჰუმანური, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული დამოკიდებულება.

რეფლექსიის ეტაპზე მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათთვის გაკვეთილი იყო მეტად საინტერესო, რადგან მიეცათ დამოუკიდებელი, თავისუფალი აზროვნებისა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალება. მოსწავლეთა უმეტესობამ შეძლო გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპზე მიცემული სააზროვნო დავალებების შესრულება. ყოველი აქტივობის დასასრულს მოსწავლეები იღებდნენ ეფექტურ უკუკავშირსა და განმავითარებელ შეფასებას, ხოლო ჯგუფების მიერ შესრულებული ნაშრომები შევაფასე განმსაზღვრელი შეფასებით.

გაკვეთილის მიზანი, მოეხდინათ პრობლემის იდენტიფიცირება და დაესახათ, მათი აზრით, შესაფერისი გადაჭრის გზები, ასევე, განმევითარებინა მოსწავლეებში შემოქმედებითი, დამოუკიდებელი, ანალიტიკური და პრეზენტაციის უნარები, მიღწეულია.

პრობლემაზე ორიენტირებულ საგაკვეთილო პროცესმა შეცვალა მოსწავლეები, გახდნენ უფრო მოტივირებულები, პედაგოგებისა და ერთმანეთის მიმართ უფრო კეთილგანწყობილები, მოემატათ საკუთარი ძალებისადმი რწმენა.

ზოგადი დასკვნა ასეთია – თანამედროვე სტრატეგიებით სწავლებას, მაშინ აქვს აზრი, თუ ის მიმდინარეობს აღზრდის პრიმატით და ორიენტირებულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ინტელექტუალურ ზრდაზე, არამედ – მათი პიროვნული შესაძლებლობების რეალიზებაზე. კონკრეტული შედეგები კი ასეთია:

1. კლასში შეიცვალა მოსწავლეთა შორის ურთიერთობა: არსებული დაპირისპირებისა და უთანხმოების ნაცვლად დამკვიდრდა გუნდურობა და თანამშრომლობა. ისინი მუშაობდნენ მცირე ჯგუფებში, ერთად აყალიბებდნენ შემოქმედებით იდეებს, ცვლიდნენ შეხედულებებსა და მოსაზრებებს, გამოხატავდნენ განსხვავებული აზრის პატივისცემას. აშკარაა, რომ ჯგუფურმა მუშაობამ ხელი შეუწყო მათი სოციალური აქტიურობის ამაღლებას (ერთმანეთის მოსმენის, აზრის კორექტულად გადმოცემის, გადაწყვეტილების მიღების), უნარების განვითარებას.

2. ბავშვებში განვითარდა მორალურ თემებზე არგუმენტირებული მსჯელობის უნარი იმ დონეზე, რომ კამათობდნენ, გამოთქვამდნენ და ასაბუთებდნენ საკუთარ შეხედულებებს, თუ რატომ იყო პერსონაჟის ესა თუ ის ღირებულება მათთვის მისაღები, რას ფიქრობენ ამ ღირებულებაზე პირადად, პარალელს ავლებდნენ დღევანდელობასთან, მოთხრობაში ასახული ზნეობრივ-მოქალაქეობრივი თემების პარალელურად გულისტკივილით საუბრობდნენ ჩვენი დროების საჭირბოროტო თემებზე, როგორიცაა: გაჭირვებულთა და უპოვართა ხვედრი („ნატვრის ხე“, „ხვედია“), ხეიბართა სატკივარი („ორი შემოხედვა“), ქალთა უუფლებო მდგომარეობა („მარიტა“), ადამიანების მიერ ქართული სუფრის სასურველ ტრადიციათა დამახინჯება (ღვინჯუა). აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოსწავლეები ცდილობდნენ, ჩამოეყალიბებინათ პრობლემის გადაჭრის გზები, გამოხატავდნენ სურვილს დაიცვან ადამიანთა უფლებები, ჩადგნენ სხვა ადამიანის პოზიციაში, იზრუნონ საზოგადოების დაუცველ ნაწილზე. ლიტერატურული მასალისადმი ემოციური დამოკიდებულება კარგად გამოვლინდა მოსწავლეთა მიერ შექმნილ ნახატებსა და თვალსაჩინოებში.

3. ჩვენ მოვახერხეთ ზემოქმედება მოსწავლეთა ქცევაზე. მნიშვნელოვანია, რომ მათ გაუჩნდათ საზოგადოების უუფლებო წევრების მიმართ დადებითი განწყობა. აღსანიშნავია მათ მიერ განხორციელებული აქცია თბილისის სათნოების სახლში, რომელიც მეტყველებს მათ მაღალ ზნეობრივ პასუხიმგებლობაზე.

4. მოსწავლეებმა ისწავლეს საკუთარი სწავლის პროცესის მართვა: პროექტის დამოუკიდებლად შედგენა, დასამუშავებელი საკითხების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მათი ანალიზი და შეძლეს დამოკიდებულებების (პოზიციისა და შეფასებების) თავისუფლად გამოხატვა, ამაღლდა მათი მოტივაცია. 18-მა მოსწავლემ დაიმსახურა უმაღლესი შეფასება, ხოლო 10-მა – 8 ქულა.

თუმცა გულწრფელად უნდა აღვნიშნო, რომ მსგავსი სამუშაოს ჩატარება პედაგოგისაგან მოითხოვს დიდ ენერგიას, განსაკუთრებულ მობილიზებას, მოსწავლეებისათვის მოწესრიგებული ინფორმაციის მომზადებას, ყოველი საგაკვეთილო საათის კარგად დაგეგმვას. თუმცა იყო ხარვეზები სასწავლო პროექტების ორგანიზებისას. მომავალში მეტ ყურადღებას მივაქცევდი პრეზენტირებისას საინფორმაციო ტექნოლოგიების ჰარმონიულ წარდგენას; მსგავსი პროექტის შედეგების პრეზენტირებას დავგეგმავ და განვახორციელებ 2 გაკვეთილზე, რადგან 45 წთ. არ იყო საკმარისი გაწეული სამუშაოს შესაჯამებლად.

ჩატარებული მუშაობის მთავარ ღირებულებას იმაში ვხედავ, რომ ჩემ მიერ საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული პრობლემაზე დაფუძნებული მიდგომები და სტრატეგიები, ვიზუალური და ციფრული თვალსაჩინეობა, მეტაკოგნიტური უნარების მართვის მექანიზმები დაეხმარება ჩემს კოლეგებს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნაში.

გულნაზ ხორბალაძე
სსიპ-ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურის სია:
1. ჰოლისტური განათლება – ჯონ მილერი, 21-ე საუკუნის სკოლის მახასიათებლები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2016, გვ. 16-18;
2. მანანა მელიქიშვილი, „მორალური განვითარების ისტორია“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012, გვ. 19-21;
3. გიორგი ლაცაბიძე, „განვითარების თეორიები მასწავლებლებისათვის“, თბილისი, 2008, გვ. 69-74;
4. მ. დოღონაძე, „ზნეობრივი აღზრდის შინაარსი და ორგანიზაცია სკოლაში“, თბილისი, 2000, „სკოლაში სააღმზრდელო მუშაობის აქტუალური პრობლემები“, გვ. 110-112.

ПЕДАГОГОТА ДАСАХМАРЕБЛАД

მარინე დემეტრაშვილი

სამოქალაქო განათლება

სკოლების საგრანტო დაფინანსების პროგრამა „თავისუფალი გაკვეთილები“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლებში თავისუფალი გაკვეთილების დაფინანსებას იწყებს.

ზოგადი ინფორმაცია

თავისუფალი გაკვეთილი გულისხმობს მოსწავლის ინტერესზე მორგებულ კლასგარეშე – არაფორმალური აქტივობების ციკლს, რომლის შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია განსხვავდება საგაკვეთილო პროცესისაგან, არ ითვალისწინებს საშინაო დავალებების მომზადებას, მოსწავლის შეფასებას და არ აქვს საგაკვეთილო სახე.

ამ პროგრამაში საჯარო სკოლების მაქსიმალური რაოდენობის ჩართვისა და მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინების მიზნით, განსხვავებული მიდგომა იქნება სოფლებსა და დაბებში მდებარე მცირეკონტინგენტიანი სკოლების და იმ სკოლების მიმართ, რომლებსაც 200-ზე მეტი მოსწავლე ჰყავთ ან მდებარეობენ ქალაქებში. სამინისტრო მცირეკონტინგენტიან სკოლებს შესთავაზებს წინასწარ გამზადებულ სარეკომენდაციო ჩარჩო პროექტებს, რომლებიც სკოლების მხრიდან გამოყენებული იქნება, როგორც დამხმარე რესურსი საკუთარი პროექტების შემუშავების პროცესში.

თავისუფალი გაკვეთილი ჩატარდება შემდეგი მიმართულებების ფარგლებში:

– სპორტული აქტივობები;
– წიგნიერების განვითარება;
– კულტურა/ ხელოვნება;
– ინტელექტუალურ-შემეცნებითი აქტივობები.

2017 წელს „თავისუფალ გაკვეთილებში“ ჩართულები იქნებიან VII-VIII კლასების მოსწავლეები.

დაფინანსების მიმღები ვალდებულია თავისუფალი გაკვეთილების ჩატარების პროცესის და შედეგების ამსახველი სხვადასხვა სახის საინტერესო მასალა (ფოტო, ვიდეო, აღწერითი და ა.შ) და მოკლე აღწერა განათავსოს სპეციალურად შექმნილ ვებ პორტალზე (skola.edu.ge). პროექტის წარმომდგენების თანხმობის შემთხვევაში, პორტალზე განთავსებული ინფორმაცია და მათ მიერ განხორციელებული პროექტი გასაჯაროვდება.

თავისუფალი გაკვეთილების დაფინანსების ფარგლებში გრანტის მიმღები იქნება სკოლა. ერთ სკოლაზე გაცემული გრანტის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 3000 ლარს.

აქედან 200 ლარი მიეცემა პროექტში ჩართულ მასწავლებელს (მასწავლებლის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება საათში 10 ლარის ოდენობით, ტარდება 20 გაკვეთილი. ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურებაც 200 ლარია. დანარჩენი შესაძლებელია დაიხარჯოს რესურსებზე). პროექტის განხორციელების შემთხვევაში მასწავლებელს ეძლევა 0,5 კრედიტი.

– თავისუფალი გაკვეთილის პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი 1-ის შესაბამისი ფორმით.

– საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow) საშუალებით სკოლამ პროექტი უნდა წარმოადგინოს შესაბამის რესურსცენტრში, რომელიც ამავე სისტემის მეშვეობით მიეწოდება სამინისტროს.

– სკოლას უფლება აქვს წარადგინოს არაუმეტეს 4 პროექტისა.

– წარმოდგენილი პროექტების შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება პროექტებს, რომლებიც მცირეკონტინგენტიან საჯარო სკოლებთან პარტნიორულ საჯარო თანამშრომლობას ითვალისწინებს.

– სპორტული მიმართულების ფარგლებში წარმოდგენილ პროექტებში აქტივობები გაწერილი უნდა იყოს არაუმეტეს 40 საათზე, ხოლო დანარჩენ მიმართულებებში – არაუმეტეს 20-20 საათისა.

• თითოეულ პროექტში ჩართული უნდა იყოს სკოლის ერთი მოქმედი მასწავლებელი, რომელიც არ წარმოადგენს სკოლის ადმინისტრაციას (მოთხოვნა არ არის მასწავლებელი ასწავლიდეს მე-7 და მე-8 კლასებს).

• ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში – პროექტის წარმომდგენი ვალდებულია პროექტს დაურთოს ბაზრის კვლევის ამსახველი ინფორმაცია (მინიმუმ 3 კომპანიისაგან მიღებული ინვოისი). თუ ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია მოთხოვნილი რაოდენობის ინვოისების წარმოდგენა, დასაბუთებული მიზეზი, შენიშვნის სახით, უნდა მიეთითოს – დაუშვებელია გაუთვალისწინებელი ხარჯების მოთხოვნა ბიუჯეტიდან.

კონკურსის ფარგლებში შემოსული პროექტების განხილვას უზრუნველყოფს მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია.

გთავაზობთ დანართი 1-ის ახალ, საბოლოო ვერსიას, შევსებული პროექტითურთ, რომელიც პასუხის მოლოდინშია.

განაცხადი
სკოლების საგრანტო დაფინანსების პროგრამისთვის „თავისუფალი გაკვეთილები“

პროექტის წარმომდგენი სკოლის სახელწოდება (სრული, იურიდიული)	ქალაქ თბილისის №საჯარო სკოლა	
სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა (ჩამოთვლილთაგან დატოვეთ თქვენი სკოლისთვის შესაბამისი ინფორმაცია)	200-ზე მეტი მოსწავლე	
პროექტის განმხორციელებელი პედაგოგი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია	სახელი, გვარი	
	პირადი ნომერი	
	ტელეფონი	
	ელფოსტის მისამართი	
პროექტის წარმომდგენი სკოლის დირექტორის სახელი, გვარი და ტელეფონი		
პროექტის წარმომდგენი სკოლის ელფოსტა (მოქმედი)		
პროექტის წარმომდგენი სკოლის საიდენტიფიკაციო კოდი		
პროექტის სახელწოდება	„როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები“	
მიმართულება	ინტელექტუალურ-შემეცნებითი	
სამინისტროსგან მოთხოვნილი თანხის ოდენობა	927 (ცხრაასოცდაშვიდი) ლარი	
წარმოდგენილი პროექტის გასაჯაროების შესახებ ინფორმაცია (დატოვეთ ის მონაცემი/მონაცემები, რომელზეც აცხადებთ თანხმობას)	თანახმა ვართ, პროექტის შინაარსი გასაჯაროვდეს პორტალზე skola.edu.ge;	
სამიზნე ჯგუფი	VII-VIII კლასის მოსწავლეები	

კურსის ხანგრძლივობა (საათების ჯამური რაოდენობა)	20 საათი
გაკვეთილის ხანგრძლივობა	60 წუთი
განხორციელების სავარაუდო ვადები (საათი)	I ეტაპი – 10 საათი (მარტი–ივნისის თვეების ფარგლებში); II ეტაპი – 10 საათი (სექტემბერ-ნოემბრის თვეების ფარგლებში).
პროექტში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა	15 გოგონა 15 ბიჭი
მიზანი	წიგნებისა და ფილმების საშუალებით ადამიანის უფლებების გაცნობა, გააზრება. კრიტიკული, შემოქმედებითი უნარების განვითარება.
შედეგები	მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული აზროვნების, საკუთარი მოსაზრების და შეხედულების დასაბუთების, განსხვავებული აზრის მოსმენის და დასკვნის გამოტანის უნარი. წიგნის კითხვისას თუ ფილმის ყურების შემდეგ გაკეთებული განხილვის (ანალიზის) შედეგად მოსწავლეები შეძლებენ სხვა მხრიდანაც შეხედონ მოვლენებს. დაინახონ ის, რაც მათ გამორჩათ (ინდივიდუალური კითხვისას), იაზროვნონ თავისუფლად. შეძლებენ დაიცვან როგორც თავისი, ასევე სხვათა უფლებები. რესურსების შექმნის უნარი.
მეთოდოლოგია	წიგნის განხილვა, ფილმის განხილვა, გაკვეთილი ბუნებაში, მუზეუმში, ილიას სახ. უნივერსიტეტში. მოწვეული სტუმრები. მეთოდი: გონებრივი იერიში, კითხვა-პასუხი, დისკუსია და ა.შ.
კურსის მოკლე აღწერილობა	არაფორმალური განათლება, ვფიქრობ, XXI საუკუნის განათლებაა. თავისუფალი, განსხვავებული გარემო მოსწავლეებს ეხმარება უკეთ შეიმეცნონ სხვადასხვა მოვლენები და იაზროვნონ თავისუფლად, კრიტიკულად. ეს გარემო თავისუფალი, თუნდაც შეფასებისგან (ნიშნების წერა) ეხმარება მათ გათავისუფლდნენ სტიგმებისგან, დაშტამპული აზროვნებისგან. ისინი თამამები არიან დააფიქსირონ თავისი პოზიცია, გააკეთონ არჩევანი და მიიღონ გადაწყვეტილება. ამ პროექტის საშუალებით მოსწავლეები გაეცნობიან ადამიანის ძირითად უფლებებს. ისწავლიან, როგორ დაიცვან ისინი. გაიაზრებენ, რომ ადამიანის მთავარი უფლება თავისუფლებაა და მისი დარღვევა არის ისეთი უბედურებების მიზეზი, როგორიცაა კონფლიქტები, ომები, ტერაქტები და ა.შ. მოსწავლეები მომზადებულები შეხვდებიან საგნის *„მოქალაქეობის“* შესწავლას. მოეწყობა ფილმების ჩვენება/განხილვა მაგ: ბავშვთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით (ფილმები მოგვაწოდა არასამ. ორგ „ადამიანი გაჭირვებაში“). ასევე, მოხდება წიგნების „მე ვარ მალალა“, „ნუ მოჰკლავ ჯაფარას“ განხილვა, ვგეგმავთ მოვიწვიოთ სტუმარი – თამარ გურჩიანი. რელიგიურ თემებთან დაკავშირებით გვინდა ვეწვიოთ ილიას უნივერსიტეტს და მოვისმინოთ ბატონი დავით მალაზონიას ლექცია. ვესტუმროთ ოკუპაციის მუზეუმს და ქალაქ კასპს, სადაც სამოქალაქო განათლების მოსწავლეთა კლუბის პროექტის საშუალებით მოხდა იმ ადამიანების ბიოგრაფიების აღდგენა, ვინც შეეწირა რეპრესიებს.
თითოეულ გაკვეთილზე დაგეგმილი აქტივობების მოკლე აღწერა	1. მონაწილეები სწავლობენ ბლოგის შექმნას. პრეზენტაციის გადატანას ბლოგზე. სხვებისთვის გაზიარებას. ბუკლეტების შექმნას სხვადასხვა შაბლონებიდან და ამობეჭდვას. ეს დაეხმარებათ შემდეგ სხვა აქტივობების გაშუქებაში. 2. ლიტერატურული ნაწარმოების „მე ვარ მალალა“ განხილვა. 3. სტუმრის (თამარ გურჩიანი) მოწვევა და ლიტერატურული ნაწარმოების „ნუ მოჰკლავ ჯაფარას“განხილვა. მოსწავლეებისთვის საინტერესო იქნება უფლებადამცველის თვალით დანახული რასიზმის პრობლემა. 4. სტუმრად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოვუსმენთ ლექციას თემაზე „აბრამისეული რელიგიები საქართველოში“. გამოყენებული აქტივობა იქნება დისკუსია. 5-6. საგანმანათლებლო კულტურული ტური: „წითელი ტერორის ტოპოგრაფია“ (სოლოლაკი, მთაწმინდა). ტურის ხანგრძლივობა 2 საათი. იხ.ვებგვერდი sovlab.ge 7. დოკუმენტური ფილმის ჩვენება/განხილვა (ადამიანის უფლებებზე). ავსახავთ ფილმიდან მიღებულ შთაბეჭდილებას: რა იგრძნეს? რა იყო მათთვის ახალი? რა ემოცია ჰქონდათ ფილმის ყურების შემდეგ. 8. დოკუმენტური ფილმის ჩვენება/განხილვა (ჯანსაღი ცხოვრება, ნიადაგი). 9. ქ.კასპი – ვიზიტი კერძო სკოლაში, სადაც გავეცნობით სამოქალაქო კლუბის მიერ მოძიებულ მათი თანაქალაქელების ისტორიებს. ამ სკოლაში სამოქალაქო კლუბის მოსწავლეებმა გააცოცხლეს ისტორიები და შექმნეს მუზეუმი, თანამოქალაქეების ტრაგიკული ისტორიებით, რომლებიც ემსხვერპლნენ ტოტალიტარულ რეჟიმს. საინტერესო იქნება, მათი თანატოლების მიერ გადმოცემული ეს ისტორიები.

პედაგოგთა დასახმარებლად

თითოეულ გაკვეთილზე დაგეგმილი აქტივობების მოკლე აღწერა	10. თემის შეჯამება, რეკომენდაციები (რომლებიც იქვე შედგება), თითოეული ჩვენგანის წვლილი ადამიანის უფლებების დაცვაში. ეს რეკომენდაციები გადაეგზავნება ონლაინ ჟურნალს „CIVICUS“. ასევე განთავსდება ჩვენ მიერ შექმნილ ბლოგზე. 11 .ბიბი აიშა (ავღანელი 19 წლის გოგო, წერდა ქალთა უფლებებზე) წიგნის განხილვა, დისკუსია. 12. მისის დოლოვერი-ვირჯინია ვულფის. წიგნის განხილვა, დისკუსია. 13. ჩაკეტილი ოთახი – ვირჯინია ვულფის. წიგნის განხილვა, დისკუსია. 14. მარგარეტ ეტვუდი – „მხევლის წიგნი“. წიგნის განხილვა, დისკუსია. 15. „ინიციატივა ცვლილებებისათვის“ – თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში. სტუმრად სოფელ ქვემო მაჩხაანში, რომელიც ითვლებოდა ქიზიყის კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრად. საგანმანათლებლო-კულტურული ტური. 16. გარემოს დაცვის თემაზე „ჩერნობილის ლოცვა“ წიგნის განხილვა. 17. აქტივობა: ფლაერების დამზადება ბუნების დაცვის თემაზე. 18. აქტივობა-მარათონი „გაუფრთხილდეთ ბუნებას“ ჩვენს რაიონში მდებარე რომელიმე სკვერის დასუფთავება, მცენარეების დარგვა. 19. რესურსის შექმნა: სოციალური რეკლამა, მცირემეტრაჟიანი ფილმი. 20. სკოლის ჟურნალის შექმნა (ადამიანის უფლებებზე, როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდვითი).
რესურსები (მიუთითეთ გამოსაყენებელი რესურსების ჩამონათვალი)	თაბახის ფურცლები, ფლიპჩატი, მარკერები, დაფა, ფერადი პატარა ზომის ფურცლები, მგზავრობის თანხა, კომპიუტერი, პროექტორი, ეკრანი, ხმის გამაძლიერებელი, ვიდეოკამერა.
ლიტერატურა	სკოლაში არსებული რესურსი: • ანა ფრანკის დღიურები • ნუ მოჰკლავ ჯაფარას • მე ვარ მალალა
	საჭიროების შემთხვევაში, სამინისტროსგან მოთხოვნილი რესურსი: • ..... • ..... • ..... • და ა.შ.
აღჭურვილობა/მასალები	სკოლაში არსებული რესურსი: • კომპიუტერი • კამერა • პროექტორი
	საჭიროების შემთხვევაში სამინისტროსგან მოთხოვნილი რესურსი: • ..... • ..... • ..... • და ა.შ.

ბიუჯეტი

ხარჯვის სახეობა	ერთეულის დასახელება	საათების რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ
1. პედაგოგის შრომის ანაზღაურება	საათი	20	10	200
2. ადმინისტრაცია /დირექციის შრომის ანაზღაურება	საათი			200
3. რესურსებისთვის საჭირო თანხის ჯამური ოდენობა	**რესურსებისთვის საჭირო თანხა 227, 00** (დანართი 1) **შენიშვნა:** პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტური თბილისში, რომლის ღირებულება ჯამურად შეადგენს **150 ლარს** (იხ.დანართი 4). ქ. კასპში დაგეგმილი ვიზიტი- ტრანსპორტირების საფასური – **150 ლარი**			527, 00
სულ (თანხის ჯამური ოდენობა)				927, 00

პროექტის განსახორციელებლად საჭირო რესურსების დეტალური ბიუჯეტი

№	რესურსი	ერთეულის სახეობა	ერთეულის ფასი	ერთეულის რაოდენობა	ჯამი/ლარი
1	საბეჭდი ქაღალდი	ცალი	7,50	1	7,50
2	ფლიპჩატი	ცალი	7	2	14
3	ჩასანიშნი ფურცელი	ცალი	2,50	2	5
4	გამჭვირვალე საქაღალდე	ცალი	0,40	30	12
5	კალამი	ცალი	0,15	30	4,50
6	ფაილი 100-ცალიანი	ცალი	3	1	3
7	ბლოკნოტი A5 ტყავის	ცალი	5	30	150
8	ქაღალდის სკოჩი	ცალი	1	2	2
9	მარკერი დაფის	ცალი	0,70	2	1,40
10	მარკერი პერმანენტული	ცალი	0,30	20	6
11	სტეპლერი 24/6	ცალი	2,50	1	2,50
12	ვატმანის ფურცელი	ცალი	0,60	5	3
13	სტეპლერის ტყვია 24/6	ცალი	0,35	2	0,70
14	დაფის მაგნიტი	ცალი	1,50	1	1,50
15	ფერადი ქაღ. A4	ცალი	13	1	13
16	ლურსმანი, ჭიკარტი	ცალი	0,40	3	1,20
17	კალამი ორიონი	ცალი	0,10	2	0,20
სულ ჯამი				227,00	

ინფორმაცია

გაახარეთ თქვენი ბებია...

ნაადრევი გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი კულტურის ცენტრთან არსებული სტუდია „არლეკინოს“ მოსწავლეებს დაეთმო. 2015 წლის „წარმატებული დედოფლისწყაროელის“ წოდების მფლობელი, **ნინო ლოლაშვილი** წლებია სათავეში უდგას ამ სტუდიას და მაღალი პროფესიონალიზმითა და გულმოდგინებით წარმართავს პატარა ვირტუოზებთან მუშაობას. „არლეკინომ“ არაერთი საინტერესო წარმოდგენა შესთავაზა მაყურებელს. ნინოს ყოველთვის გვერდში უდგანან კულტურის განყოფილება და მოსწავლეთა მშობლები.

ამჯერადაც ღონისძიების იდეა „გაახარეთ თქვენი ბებია“ ნინოს ეკუთვნოდა, რომელმაც, სპეციალური სტუმრის სტატუსით მოიწვია „არლეკინოს“ სტუდიის წევრების ბებიები.

საბავშვო ლექსებითა და სიმღერებით, სამეჯლისო ცეკვებით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: ნინო, თორნიკე, ქეთი, ლიზი, სალომე, ლუკა, მარიამი, თამუნა, ლანა, ბარბარე, ანასტასია, ნათია, ალინა, ქეთევანი, ელენე და სხვები. დარბაზში ამაყად მჯდომ ბებიებს წინ სიურპრიზი ელოდათ. შვილიშვილებმა მათ ყვავილების თაიგულები გადასცეს და ქალთა დღესასწაულები მიულოცეს. დასასრულ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ცენტრის დირექტორმა **ნონა ჯიბღაშვილმა** მადლობა გადაუხადა ნინო მასწავლებელს ამ სამახსოვრო დღის შთამბეჭდავად მოწყობისთვის და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ბებიის უმნიშვნელოვანეს როლს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და თითოეულ ოჯახში. მოწვეულ სტუმრებს და ბებიებს სიტყვით მიმართა გამგეობის განათლებისა და კულტურის სამსახურის უფროსმა **თამარ თამაზაშვილმა** და ღვაწლმოსილმა პედაგოგმა **ნანული ნატროშვილმა**. მათ, როგორც ბებიებმაც, გაამახვილეს ყურადღება ამ სტატუსის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

ღონისძიების დასასრულს გაჟღერდა ერთი სასიამოვნო ინფორმაცია: საქველმოქმედო საზოგადოების „ამაგდარის“ თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა **ვახუშტი ქიზიყურაშვილმა**, დედოფლისწყაროს მოსახლეობის ინტერნეტ-გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ნომინაციაში „საუკეთესო ბებია“ გამოავლინა: **ლიანა მაჩიტაძე, ნანული ნატროშვილი** და ახალგაზრდა ბებია **ნანა მერაბიშვილი**. როგორც ბატონმა ვახუშტიმ აღნიშნა, სამივე მათგანს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, წლების მანძილზე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდნენ და მოზარდების აღზრდის საქმეს ემსახურებოდნენ. ქალბატონი ნანული ნატროშვილი დღესაც დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელია. იგი მე-5 კლასიდან მე-11 კლასის ჩათვლით გვასწავლიდა ისტორიას. მისი გავლენით, პირადად მეც, თსუ-ში ისტორიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე და დღესაც ვამაყობ, რომ ჩემი პედაგოგი ნანული მასწავლებელია, მასწავლებელთა მასწავლებელი, ყველა თაობისთვის მისაბაძი პიროვნება.

ხორნაბუჯის სკოლის გუნდი ნახევარფინალშია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში ჩატარდა საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის მიერ ორგანიზებული ინტელექტუალური თამაშის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ ზონალური ეტაპი. ნახევარფინალის საგზურებისათვის ერთმანეთს შეხვდნენ ხორნაბუჯისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ნინოწმინდის საჯარო სკოლის გუნდები. ზონალური ტურის სამი რაუნდის შედეგების მიხედვით ნახევარფინალში გადავიდა ხორნაბუჯის საჯარო სკოლის გუნდი „ხორნაბუჯი“ (ხელმძღვანელი – **ბერი ეგნატე (ლობჟანიძე)**, რომელმაც დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 16:12, ხოლო ნინოწმინდის გუნდი „ჯვარი ვაზისა“ გადავიდა სანუგეშო ეტაპზე და, გამარჯვების შემთხვევაში, კიდევ შეძლებს ნახევარფინალში მოხვედრას.

ზონალურ ტურში თამაშის უფლება „ხორნაბუჯმა“ მოიპოვა ახმეტაში გამართულ ტურში გამარჯვებით, სადაც დაამარცხა ახმეტის №1 და №2 საჯარო სკოლების გუნდები.

ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ნელი საბიაშვილმა-აფციაურმა**, დირექციისა და პედაგოგების სახელით, მიულოცა „ხორნაბუჯის“ გუნდს და მის გულშემატკივრებს ეს გამარჯვება და წარმატებები უსურვა შემდგომ ტურში.

მარიკა პოპიაშვილი

გამოფენა ავსტრიაში



28 მარტს, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, წარმატებით გაიხსნა და 6 აპრილამდე გასტანს ახალგაზრდა მხატვრის **ლიზი ბუდაღაშვილის** გამოფენა. გამოფენა მოეწყო ავსტრიაში, საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით და ავსტრიაში მოღვაწე ქართველი პიანისტის, **ქეთი სეფაშვილის** მონდომებით. ქეთი სეფაშვილს დამთავრებული აქვს ნიჭიერთა ათწლედი და თბილისის კონსერვატორია. ავსტრიაში გათხოვების მიუხედავად, არ ივიწყებს სამშობლოს და მშობლიურ ნიჭიერთა ათწლედს. მან არაერთხელ ჩამოუტანა საჩუქრად თავის სკოლას იშვიათი ნოტები, დააარსა კონკურსი ნორჩი პიანისტებისათვის, ხელს უწყობს ნორჩ კოლეგებს კონკურსებსა და ფესტივალებზე მონაწილეობაში.

რაც შეეხება ლიზი ბუდაღაშვილს, ამჟამად სწავლობს ქართულ-ამერიკულ სკოლაში, ნიჭიერთა ათწლედში და რესპუბლიკურ სამხატვრო აკადემიაში. ეს ლიზის მეორე პერსონალური გამოფენაა ავსტრიაში. 9 წლის ასაკში მან I პრემია მოიპოვა თავის ასაკში ქეთი სეფაშვილის მიერ დაარსებულ კონკურსზე და აქედან დაიწყო მათი მეგობრობა. ლიზი ოცნებობს, რომ მეტი თავისუფალი დრო ჰქონდეს, რათა თავის სამ გატაცებას – მხატვრობას, მუსიკას და ლიტერატურას მეოთხე დაუმატოს და მსახიობობაში სცადოს ბედი.

რევაზ თოფურია

მულამ წარმატებით

საბურთალოს რაიონის გამგეობის ორგანიზებით, კარტინგში, ბილიარდსა და მაგიდის ჩოგბურთში სპორტული შეჯიბრი გაიმართა. შეჯიბრში მონაწილეობნენ სმენის არმქონე და სმენადაქვეითებულ ბავშვთა 203-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები.

შეჯიბრი კინოსტუდიის შენობის ტერიტორიაზე ჩატარდა და თითოეულ კატეგორიაში თითო გამარჯვებული გამოვლინდა.

საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილემ **გაიოზ ვასაძემ** და სპორტისა და კულტურის განყოფილების უფროსმა **თენგიზ ფოფხაძემ** გამარჯვებულები თასებით, მედლებით და სასაჩუქრე ვაუჩერებით დააჯილდოვეს.

ხელბურთმა მასწავლებელთა გადამზადება დაიწყო

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივას სკოლებში სპორტის გაკვეთილების ჩატარების ახლებურ მიდგომასთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა პირველმა მხარი საქართველოს ხელბურთის ეროვნულმა ფედერაციამ აუბა. შეგახსენებთ, რომ სამინისტრომ თავისი ახალი საპილოტე პროექტის ფარგლებში, პარტნიორებად ოთხი სპორტული ფედერაცია (ყველა – ბურთიანი სათამაშო სახეობების) შეარჩია და მათი მეშვეობით აპირებს, სკოლებში დანერგოს და გაზარდოს სპორტის ისეთ სახეობათა როლი, რომლებიც განსაკუთრებულად უწყობენ ხელს მოძრაობას, აქტივობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. სამინისტრომ პროფესიული მუშაობის წარმართვა – კადრების მომზადება, ინვენტარის მოძიება, ლიტერატურის გადმოქართულება ან სულაც შექმნა და სხვა, შესაბამის ფედერაციებს დაავალა, თავად კი დამფინანსებლის როლი იკისრა.

ხელბურთის ფედერაციას ისედაც ჰქონდა ინიციატივები ამ კუთხით: თბილისშიც და რეგიონებშიც ბევრ სკოლაშია გახსნილი ხელბურთის სპეციალიზებული სექციები, ხოლო სადაც ეს სახეობა სასკოლო გაკვეთილადაა არჩეული, იმათაც მაქსიმალურად ეხმარებოდა კადრებითა თუ ინფრასტრუქტურით. მათ სათანადო ლიტერატურის თარგმნაც კარგა ხნის წინ დაიწყეს, ამასობაში კი სამინისტროს ინიციატივამაც მოუსწროთ, რასაც სიამოვნებით შეუერთდნენ, რადგან ეს მათ ინტერესებსაც სრულად შეესაბამებოდა.

ამ დღეებში საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზურაბ კაკაბაძე** და ვიცე-პრეზიდენტი **ვახტანგ მეიფარიანი** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველ მოადგილე **ლია გიგაურთან** ერთად თბილისის 161-ე საჯარო სკოლას ესტუმრნენ. ფედერაცია ამ სკოლაში სიახლითაც მივიდა – სწორედ იქ მოეწყო სპეციალური მოდულის პრეზენტაცია, რომელიც ფედერაციამ სპორტის მასწავლებლებისთვის შექმნა.

ეს შეხვედრა უფრო საქალაქო მასშტაბისა გახლდათ და არა მხოლოდ ამ სკოლისთვის განკუთვნილი – მას თბილისის სხვადასხვა სკოლების პედაგოგები ესწრებოდნენ, რომლებმაც იმსჯელეს აქეთ ფედერაციის, იქით კი თუ სამინისტროს ახალ ინიციატივებზე. მათ გიგაურთან სწორედ სამინისტროს მიერ დაგეგმილსა თუ განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრეს, გაუზიარეს მას თავიანთი მოსაზრებები. თავის მხრივ, ლია გიგაური იმ იდეებზე ესაუბრათ, რასაც სამინისტრო მოზარდებში სპორტის პოპულარიზაციისთვის გეგმავს.

ხელბურთის ფედერაციამ შეხვედრის მონაწილე მასწავლებლებს მათ მიერ მომზადებული საგანგებო ლიტერატურა გადასცა სპორტული აღზრდის მეთოდოლოგიის შესახებ, მასპინელ სკოლას კი დამატებით ხელბურთის ბურთებიც უსახსოვრეს.

ფედერაციისთვის ამგვარი შეხვედრები უცხო არაა და არც ეს ყოფილა პირველი – მათ უკვე გამართეს ტრენინგები ბათუმში, ოზურგეთსა და ზუგდიდში. როგორც ზურაბ კაკაბაძემ გვითხრა, მასწავლებელთა შორის ინტერესი დიდია და დაახლოებით 30-40 პედაგოგი მოდის დასასწრებად, რომლებსაც დაურიგდათ, ასევე ფედერაციის მიერ მომზადებული, ორ-ორი წიგნი სკოლებში ხელბურთის სწავლების შესახებ. ცხადია, ჩაუტარდათ თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობებიც.

ანალოგიური მუშაობა სასწავლო წლის დარჩენილ პერიოდშიც გაგრძელდება და მომდევნო წლებშიც. უკვე აპრილში განზრახულია ტრენინგების გამართვა გორში, ახალციხეში, თელავში და რუსთავში, სადაც გაიმართება თეორიულ-პრაქტიკული სწავლება, გადაეცემათ სპეციალური ლიტერატურა. ამასთან, ფედერაცია დაეხმარებათ რეგიონული თუ შიდა სასკოლო ტურნირების ორგანიზებაში.

„პეგასი“ ისევ გაჭენდა

დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი 2000-2001 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ხელბურთელ ბიჭებში, რომელშიც ზედიზედ მეოთხედ იმარჯა თბილისის „პეგასმა“. ჩემპიონატში კლუბების საკმაოდ სოლიდური რაოდენობა – 15 გამოდიოდა და დაძაბულადაც წარიმართა: დასრულებამდე ორი ტურით ადრე „პეგასი“ კი ლიდერობდა, მაგრამ მოდევნო ადგილებზე მყოფ ფოთის „ოქროს ვერძსა“ და „წყალტუბოს“ თანაბარი ქულა ჰქონდათ და მათ მხოლოდ 2 ქულით უსწრებდა. სხვათა შორის, იმ ტურში ფოთელებმა პირადი შეხვედრა მოუგეს იმერლებს და ასე გაუთანაბრდნენ, მომდევნო ტურში კი ფოთელებმა რუსთაველებს 32:25 აჯობეს, წყალტუბოელებმა კი სამტრედიელებს – 34:21. თავად „პეგასმა“ „ქარიშხალას“ 38:17 მოუგო და ამით ეს სამეული მდევართათვის მიუწვდომელი გახდა. ბოლო ტურს მათ შორის ადგილები უნდა გაენაწილებინა და ასეც მოხდა, ოღონდ აქ მთავარი მატჩი „პეგასსა და წყალტუბოელებს შორის შედგა – დედაქალაქელებმა 32:19 იმარჯვეს და თავად ხომ ჩემპიონები გახდნენ, ამით ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ფოთელებს, რადგან მდევარი წყალტუბო ჩამოაცილეს. თუმცა თავად ფოთელებსაც უნდა ეყოჩაღათ „ქარიშხალასთან“ შეხვედრაში, თორემ წყალტუბოელებთან ისევ თანაბარი ქულები ექნებოდათ, მაგრამ „ოქროს ვერძმა“ 41:21 მოიგო და ოქროს ვერა, მაგრამ ვერცხლის მედლებს კი დაეუფლა. ბრინჯაო წყალტუბოელებს დარჩათ.

როგორც გითხარით, ეს „პეგასის“ ზედიზედ მეოთხე გამარჯვებაა, თუმცა უფრო საინტერესო ისაა, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში მათ შეხედრა არ წაუგიათ! არ ვიცი, ეს ჩემპიონატის სისუსტის მაჩვენებელია თუ თავად კლუბის სიძლიერის, მაგრამ ამაში მწვრთნელის, ახლო წარსულში ეროვნული ნაკრების ლიდერისა და ევროპაში საკმაოდ დაფასებული **ტიტე კალანდაძის** დამსახურება ნამდვილად დიდია (ის თბილისის მე-60 სკოლის სპორტის მასწავლებელია), თუმცა ცოტა ხნის წინ ამ ასაკის ნაკრების მთავარ მწვრთნელად გადაიყვანეს და ამიტომ ეს ჩემპიონატი „პეგასმა“ **გიორგი სახვაძის** ხელმძღვანელობით ჩაატარა.

ამ ასაკის ნაკრები წლეულს, ივლისში, შვედურ გიოტებორგში, ევროპის ღია პირველობაზე ითამაშებს, გაისად კი 18-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატი ელოდება, რომელიც თბილისში გაიმართება. უკვე გარკვეულია, რომ აქ 11 გუნდი ჩამოვა, ხოლო გამარჯვებული 2020 წელს გასამართ 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე უძლიერეს 16 გუნდს შორის გამოსვლის უფლებას მიიღებს.

ძიუდოისტები ტულაში

თბილისის „დიდი პრიზის“ პარალელურად, ტულაში ჭაბუკ ძიუდოისტთა „ევროპის თასი“ გაიმართა, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ ბიჭების ნაკრები გამოდიოდა, თუმცა კი გაფართოებული შემადგენლობით, 34 სპორტსმენით. გუნდის ხელმძღვანელობამ იქ ამ ასაკში საქართველოს ჩემპიონატის ყველა მედალოსანი წაიყვანა, რათა შიდა შეჯიბრების შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზეც გამოეცადა ისინი. თან ამისთვის საგანგებოდ შეარჩია შედარებით ძლიერი შეჯიბრება, თორემ ადრე ჩვენები ანტალიაში დადიოდნენ. რუსეთში მხოლოდ მასპინძელთა ნაკრები რომ გამოვიდეს, ხარისხიანი სპარინგებისთვის ესეც ეყოფათ, თუმცა ტულაში 16 გუნდი შეიკრიბა, ძირითადად – ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან. ოღონდ უმეტესობას ჩვენსავით მრავალრიცხოვანი გუნდი ჰყავდა და მთლიანად ტურნირში 323 სპორტსმენი მონაწილეობდა, კონკრეტულად ბიჭებში კი – 207.

ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში ჩვენი გუნდის მონაგარი 6 მედალი და გუნდური მეორე ადგილია: 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. საინტერესოა, რომ ჩემპიონები ძმები გახდნენ, ხოლო 90 კილოგრამში ქართული ფინალი გაიმართა: **მიხეილ ბექაურმა გიორგი კარიაულს** მოუგო. ჩვენს ნაკრებს მეორე ოქრო **ლაშა ბექაურმა** (73) მოუტანა, ვერცხლის მედლებს კი **გოჩა ღვაჩლიანი** (81) და **ლევან ჭელიძეც** (+90) დაეუფლნენ. ბრინჯაო **მიხეილ ბახბახიშვილმა** (66) მოიპოვა. ამავე სინჯის მედლის მოპოვება **ლუკა კაპანაძეს** (55), **გიორგი ჩიხელიძეს** (66), **გოგა გოგაშვილს** (73), **ილია სულამანიძეს** (81), **საბა ინანეიშვილს** და **ილია საათაშვილსაც** (ორივე – +90) შეეძლოთ, თუმცა დამარცხდნენ და მეხუთე ადგილზე დარჩნენ. მეშვიდეზე გავიდნენ **ნოდარ ქურხული**, **ბექა წიფიანი** (ორივე – 55), **ლუკა რთველაძე** (90) და **გიორგი ბურჯალიანი** (+90). თუმცა დამამშვიდებელში წიფიანი კაპანაძესთან დამარცხდა, ბურჯალიანმა საათაშვილს მოუგო, 73-ში კი ნახევარფინალში ბექაურმა გოგაშვილს აჯობა.

როგორც გითხარით, ამ ტურნირის მთავარი დანიშნულება იყო, მწვრთნელებს უცხოეთშიც შეემოწმებინათ კანდიდატთა მომზადება, რადგან იქ ჭიდაობას სულ სხვა დატვირთვა აქვს. ბევრმა მართლაც ვერ გაუძლო ამას. ლიდერობა შეინარჩუნეს 55-ში ლუკა კაპანაძემ, 81-ში – გოჩა ღვაჩლიანმა და 90-ში – მიხეილ ბექაურმა. სამივე მათგანი ჭაბუკებში საქართველოს ჩემპიონია და შედეგით ახლაც გაუსწრეს კონკურენტებს. სამაგიეროდ, კონკურენციის საკითხი გამწვავდა ზოგიერთ წონაში: 66-ში ბახბახაშვილი პირადად არ შეხვედრია ჩიხელიძეს, მაგრამ შედეგით გაუსწრო; ასევე 73-შიც და მძიმე წონებშიც, სადაც ქვეყნის ვიცე-ჩემპიონებმა, შესაბამისად, ლაშა ბექაურმა და ლევან ჭელიძემ შედეგით აჯობეს ჩემპიონებს, **ლევან ფსუტურსა** და **ალექსი სვიანაძეს.**

ირაკლი თავაძე

ინფორმაცია

საკანონმდებლო ცვლილებები

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებები შედის, რომლითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მართვის ორგანოების საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობის სისტემა დაიხვეწება.

კანონპროექტი განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილეს. *„კანონპროექტი 3 თვეზე მეტია მუშავდებოდა, მე მქონდა ძალიან ინტენსიური შეხვედრები სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტურ თვითმმართველობებთან, აუდიტორია 115-თან. კანონპროექტი პრინციპების დონეზე არის შეჯერებული 7 სხვადასხვა კეძო და სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობებთან და სტუდენტური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან“,* – განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ, **მარიამ ჯაშმა**.

მისი თქმით, კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებათა 4 ძირითად ბლოკს:

1. პირველი ბლოკის მიზანია ყველა სტუდენტს მიენიჭოს უფლება პირდაპირი წესით იქნეს არჩეული არა მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლობით საბჭოში – სენატში, არამედ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის – ფაკულტატურ საბჭოშიც.

2. მეორე ბლოკის მიხედვით, უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის ყველა სტუდენტს – ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის – მიეცემა უფლება არჩეული იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის) საბჭოში პროპორციული გადანაწილების წესით (მაგრამ არანაკლებ ერთი წარმომადგენლისა).

3. მესამე ბლოკის მიხედვით, ყველა სტუდენტს მიენიჭება უფლება თანაბარი წვდომა ჰქონდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებზე ინდივიდუალური ან/და ერთობლივი სტუდენტური ინიციატივების განხორციელების მიზნით.

4. მეოთხე ბლოკით სტუდენტთა მთავარი წარმომადგენლობითი გაერთიანებების ალტერნატივების ზოგადი დეფინიციები, მიზნები და არჩევის წესი, რომელთა დეტალური განსაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე უნდა მოხდეს.

მარიამ ჯაშის განცხადებით, კანონპროექტის შემუშავების პროცესში განხილული იქნა 20 ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ეროვნული და მუნიციპალური კანონმდებლობებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე მოქმედი რეგულაციები. მან მადლობა გადაუხადა იმ სტუდენტური ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც კონსტრუქციულად იყვნენ ჩართული კანონპროექტის შემუშავების პროცესში. *„ამ ცვლილებების შემდეგ, სტუდენტებთან ჩვენი აქტიური თანამშრომლობა არ სრულდება. პირიქით, მე ვთხოვე თითოეული სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელს, რომ უფრო აქტიურად იყოს ჩართული შინაარსობრივი ასპექტების განხილვაში უმაღლესი განათლების ხარისხთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენთვის შემდგომი ინიციატივების საფუძველი გახდება“,* – აღნიშნა მარიამ ჯაშმა.

კომიტეტის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას.

სხდომაზე განიხილეს საკანონმდებლო წინადადება „არქიტექტურული, ქალაქთმშენებლობითი და სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების პრეზიდენტმა, **იური სვანიძემ** წარმოადგინა.

კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, წინადადება განხილულ იქნეს მშენებლობის კოდექსის პროექტთან ერთად, რომლის შემუშავებაზეც ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს.

დღესვე განიხილეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის, **ვასილ გონაშვილის** განმარტებით, კანონპროექტით მოწესრიგდება აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის ვადები. *„ყველა წევრი აირჩევა თანაბარი ვადით – 4 წლის ვადით. ამით დაცული იქნება ყველა წევრს შორის თანასწორობა და გაუქმდება აკადემიური საბჭოს წევრთა ნაწილობრივი განახლების მექანიზმი“,* – განაცხადა ვასილ გონაშვილმა.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ წინადადებას. ასევე, განიხილა პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

პროფესიული კავშირის თავმჯდომარის, **დენის დავითაშვილის** განმარტებით, საკანონმდებლო წინადადებით მოიხსნება საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორებისათვის ასაკობრივი შეზღუდვა. *„პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორებისათვის აღნიშნულ თანამდებობაზე 65 წლის მიღწევის შემდგომ შესაძლებელი იქნება მუშაობის გაგრძელება. არსებული ნორმით, პროფესიული სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებს არ ეძლევათ საშუალება, 65 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, დაიკავონ დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობა და შეასრულონ თავიანთი უფლებამოსილება პროფესიულ განათლებაში რეფორმის განსახორციელებლად“,* – განაცხადა დენის დავითაშვილმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონპროექტზე, რომელიც პარლამენტში მიმდინარე წელს იქნება წარმოდგენილი, რომლის განხილვისას, მხედველობაში მიიღება შემოთავაზებული საკანონმდებლო წინადადება. კომიტეტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკანონმდებლო წინადადებას.

განათლების რეფორმა
ევროპის სწრაფი განვითარებისთვის

განათლებისა და მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებები

ალექსანდრე ჯეჯელავამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებები, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები დიპლომატიურ კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნო.

შეხვედრაზე წარმოდგენილი პრეზენტაცია განათლების ყველა სფეროს მოიცავდა:

ზოგადი განათლება

იმისათვის, რომ სკოლა გახდეს უფრო საინტერესო და თანამედროვე, ამაღლდეს განათლების ხარისხი, მოზარდებს განუვითარდეთ კრიტიკული და თავისუფალი აზროვნება, ინერგება თავისუფალი გაკვეთილები, ახალი სასწავლო პროგრამები, სწავლა/სწავლების პროცესში ფართოდ ინერგება ტექნოლოგიები.

იმისათვის, რომ მომავალი თაობა გაიზარდოს ჯანმრთელი და განვითარდეს ჰარმონიულად სკოლებში მეტი სპორტისა და ხელოვნების გაკვეთილები ინერგება, იქმნება სპორტული წრეები, ტარდება შეჯიბრებები. მალე სკოლებში ამოქმედდება სახელოვნებო წრეები, ჩატარდება ხელოვნების საინტერესო გაკვეთილები. გაგრძელდება სკოლების მშენებლობა და რემონტი.

პროფესიული განათლება

პროფესიული განათლება დასაქმების ან კვალიფიკაციის ამაღლების წინაპირობაა და დღეს სწორედ, პროფესიულ კოლეჯებში შეძენილი პროფესიებია ყველაზე მოთხოვნადი დამსაქმებლების მხრიდან. შესაბამისად, პროფესიული კოლეჯები ყველა ასაკის მოქალაქეს, სახელმწიფო დაფინანსებით, მრავალფეროვან სასწავლო პროგრამას სთავაზობს, მათ შორის დუალურ პროფესიულ განათლებას. პროცესში დამსაქმებლებიც არიან ჩართულნი და გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის მინიმალური ანაზღაურებაც.

პროფესიული კოლეჯები საქართველოს ყველა რეგიონშია და მოქალაქეებს შეუძლიათ სახლთან ახლოს დაეუფლონ ახალ პროფესიებს, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ქვეყანაში ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამჟამად, ქვეყანაში 37 პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი სახელმწიფო სასწავლებელი ფუნქციონირებს. გაუმჯობესდება კანონმდებლობა – შედეგად, საბაზო განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს პროფესიული კოლეჯის დიპლომი, შეძლებს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას.

უმაღლესი განათლება

იმისათვის, რომ განათლება და ეკონომიკა მჭიდროდ დაუკავშირდეს ერთმანეთს, სახელმწიფო დასაქმებაზე და ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებულ უმაღლეს განათლებას შესთავაზებს სტუდენტებს. უნივერსიტეტები მოამზადებს იმ სპეციალისტებს, რომლებიც სჭირდება წარმოებას, მშენებლობას, ბიზნესს, სოფლის მეურნეობას, პოლიტიკას, სამოქალაქო სექტორს, სპორტულ, სახელოვნებო, აკადემიურ და სამეცნიერო წრეებს. ამასთან, სახელმწიფო მიერ დაფინანსდება ის პრიორიტეტული პროფესიები, რომლებზეც დამსაქმებლების მხრიდან დიდია მოთხოვნა. საუკეთესო ქართველი სტუდენტები მიიღებენ საერთაშორისო დონის დიპლომებს.

მეცნიერება

საქართველო ხდება აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და დსთ-ს რეგიონის უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და კვლევის ცენტრი. ამ გეგმის განხორციელებას ხელს შეუწყობს ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ახალი პროექტი – „ისწავლე საქართველოში“. პროექტის ფარგლებში კერძო და სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ამოქმედდება უცხოენოვანი საერთაშორისო პროგრამები, შედეგად მეტი უცხოელი ისწავლის საქართველოში და მეტ ქართველ მეცნიერს ექნება საშუალება ჩაერთოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. შემუშავდება ახალგაზრდა მეცნიერების, ისევე როგორც საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მეცნიერების მხარდაჭერის პროგრამები. გაგრძელდება და გაღრმავდება „ჰორიზონტი 2020“-თან და სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებთან თანამშრომლობა.

მოხდება მეცნიერების კომერციალიზაცია – ახალგაზრდა მეცნიერებს/გამომგონებლებს საშუალება ექნებათ მათი მიგნებები კომერციულად საინტერესო წინადადებებად აქციონ. ეს მიდგომა ხელს შეუყობს საზღვარგარეთ მომუშავე ქართველი მეცნიერების სამშობლოში დაბრუნებას. ყოველივე ეს კი, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას განაპირობებს.

პროექტი „კინო სკოლაში“ ახალ სეზონს იწყებს

„კინო სკოლაში” კინოგანათლების პოპულარიზაციაზე ორიენტირებული პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდებში კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პროექტი მეოთხე წელია მიმდინარეობს და ყოველ სეზონზე სიახლეს სთავაზობს კინოსკოლელებს. წელს „კინო სკოლაში“ აქტიურად ითანამშრომლებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „თავისუფალი გაკვეთილების პროგრამასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ კინოჩვენებებსა და დისკუსიებს, კინოსპეციალისტებთან ერთად, სკოლის პედაგოგებიც ჩაატარებენ.

პროფესიული განათლების ფესტივალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით, პროფესიული განათლების ფესტივალი გაიმართა, რომლის მიზანი პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის ხელშეწყობა იყო. საგამოფენო ცენტრი ექსპო ჯორჯია საუკეთესო ადგილი აღმოჩნდა ფესტივალის იდეის თვალსაჩინოებისთვის – 25-ზე მეტი პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობები – სტუდენტთა თემატური კონკურსები, ბარმენების შოუ, 3D პრინტერის დახმარებით ციფრული გამოსახულებების მოდელირება, პროფესიათა მოსინჯვის აქტივობები – ფესტივალის ვიზიტორთათვის გაცილებით მეტი ინფორმაციის შემცველი, მეტად მიმზიდველი და საინტერესო იყო, ვიდრე ამ თემების ირგვლივ ნებისმიერი ხატოვნად წაკითხული ლექცია.

მრავალფეროვნება, კეთებით სწავლება, სრული სახელმწიფო დაფინანსება, თანამედროვე ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, მოკლე დროში დასაქმების შესაძლებლობა – ის მთავარი კომპონენტებია, რაც გამოარჩევს პროფესიულ განათლებას და რის გამოც უნდა გაიზარდოს მისდამი ინტერესი.

ალექსანდრე ჯეჯელავა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: მიხარია, რომ ამდენ ახალგაზრდას ვხედავ დღევანდელ ფესტივალზე. პროფესიული განათლების შესაძლებლობა შეუზღუდავია. ახლა სწორედ სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯებში ჩარიცხვის პერიოდია. მოგიწოდებთ ახალგაზრდებს, მშობლებს და ყველას, ვისაც დასაქმების პრობლემა აქვს, მიიღეთ გადაწყვეტილება და დაეუფლეთ თანამედროვე პროფესიებს, იმავეს ვურჩევ ჩემს შვილსაც, იმიტომ რომ ეს ნამდვილად არის უმოკლესი გზა პროფესიონალიზმისა და კარიერული წინსვლისთვის და კიდევ ერთი რჩევა – აუცილებლად დაეუფლეთ უცხო ენას. ეს დაგჭირდებათ საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

ზურაბ ალავიძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი: მივმართავ პოტენციურ სტუდენტებს და ვარწმუნებ, რომ ეს გზა ნამდვილად რეალური შანსია დასაქმებისთვის. ჩვენი სამინისტრო 3,5 მლრდ ლარის ინვესტიციას გეგმავს ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით, რაც 30-40 000 ადამიანის დასაქმების შესაძლებლობას მოგვცემს. მოკლე დროში შეისწავლეთ შესაბამისი პროფესიები, რათა უცხოეთიდან აღარ დაგვჭირდეს კვალიფიციური კადრების მოწვევა.

ნანა ხატისკაცი, თბილისის მერის მოადგილე: პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ. გაგაცნობთ თბილისის მერიის გადაწყვეტილებას, რაც, იმედია დაინტერესებს პოტენციურ სტუდენტებს – მომსახურების სფეროთი დაინტერესებულ 400 ახალგაზრდას უფასოდ შეეძლება შესაბამისი პროფილის სასწავლებლებში პროფესიულ პროგრამაზე სწავლა, დასაქმების გარანტიით; სულ მალე, იგივე შეთავაზება გვექნება სამშენებლო პროფესიების კუთხითაც.

ელგუჯა მელაძე, დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი: ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. როგორც იქნა, ეს სფერო სახელწიფოსთვის პრიორიტეტულ სფეროდ იქცა, რაც სასწავლებლების მიერ წარმოდგენილი ექსპონატებიდანაც კარგად ჩანს. მეც მინდა დაგარწმუნოთ, რომ პროფესიონალებისთვის დასაქმების პრობლემა ნელ-ნელა მოიხსნება, რადგან მივედით მექანიზმამდე, რომლის ამოქმედებაც მინიმუმამდე დაიყვანს შრომის ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დღეს არსებულ ზღვარს. ეს კი ქვეყნის ეკონომიკის რეალურ განვითარებას ნიშნავს.

თამარ ლაზარაშვილი, კოლეჯის „აისი“ კარიერის დაგეგმვის მენეჯერი: დღეისათვის ჩვენთან 577 სტუდენტი სწავლობს, 350 სტუდენტზე გათვლილი უფასო საერთო საცხოვრებელი გვაქვს. აქ წარმოდგენილი ნიმუშები: თაფლი, ღვინო, ჯემი, წვენები, ხეზე ნაკვეთი საგნები... ჩვენი სტუდენტების დამზადებულია. როცა კანონში „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ ცვლილება შევა, პროდუქციის რეალიზების უფლებაც მოგვეცემა და შემოსული თანხით ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ. ჯერჯერობით, მხოლოდ 12 სოციალურად დაუცველს უზრუნველვყოფთ უფასო კვებით. ალვანისა და დედოფლისწყაროს ფილიალებს სექტემბრიდან ლაგოდეხიც დაემატება, კიდევ უფრო განვითარდება სასწავლებლის მეურნეობა, მეტი ინტერესი გაუჩნდებათ ფერმერებსაც, რომლებთანაც ხელშეკრულებით ვმუშაობთ და რომელთათვისაც, ფაქტობრივად, ვამზადებთ აგრარულ პროდუქციას. ჩვენი მთავარი მიზანი ხომ სწავლებაა და ამას ფინანსებიც თუ დაემატება, რა თქმა უნდა, სწორედ სწავლების ხარისხი და შედეგი გაუმჯობესდება.

შორენა კრაველიძე, „სპექტრის“ კურსდამთავრებული: კოლეჯის დამთავრების შემდეგ სპეციალობით დავიწყე მუშაობა ოფისმენეჯერად. სწავლის პერიოდმა და ახლა უკვე სამსახურმა რადიკალურად შეცვალა ჩემი ცხოვრება. მინდა ვუთხრა ჩემს თანატოლებს, ნუ შეშინდებიან, მიიღონ გადაწყვეტილება, რადგან ბევრ კოლეჯში გარემო ადაპტირებულია და ამ მხრივ მათ არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ.

გიორგი ბერაია, კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი, „გეორგიას“ დირექტორი: თითქმის 10 წლის განმავლობაში პროფესიული განათლების სისტემა პარალიზებული იყო. 2010 წლიდან აღდგა ეს წყვეტა და შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კოლეჯი დარგის გაცოცხლების პიონერი იყო. სასიხარულოა, რომ კოლეჯები ნელა, მაგრამ იბრუნებენ თავიანთ მნიშვნელოვან ადგილს არა მარტო განათლების, არამედ, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში.
დღეისთვის 120 სტუდენტი გვყავს, თუმცა შიდა რესურსი 400-ზეა გათვლილი. როცა ქვეყანაში დასაქმების პრობლემის მოგვარების ტენდენცია გაჩნდება, ჩვენს პროგრამებზე მოთხოვნაც გაიზრდება. მაგალითად, სასტუმრო საქმის წარმოების კურსდამთავრებულთა 60% საქმდება, ხოლო ტანსაცმლის დიზაინისა – 100%-ით. ასე რომ, სახელმწიფოს თანადგომით, ჩვენი უცხოელი პარტნიორების მხარდაჭერით და მსგავსი ღონისძიებებით შევძლებთ, რომ პროფესიული განათლება უფრო პოპულარული და მიმზიდველი გახდეს ჩვენი მოქალაქეებისთვის.

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >